საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერობით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 30 აგვისტო. 2016 წ. №160 (8052), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის გიორგი კაკუაშვილი უნდა დაიჭირონ!

ირაკლი კობახიძე

ასეთი ტიპის გადაცდომის დროს უნდა დადგეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი!..

2

უზნეო პარტიზანის ჩინჩლაობა

ლიბერასტების მარში მერიის წინააღმდეგ

3

ამერიკელის სკანდალური ინტერვიუ

„პირადად ვიყავი ოთახში, როცა კონდოლიზა რაისმა სააკაშვილს უთხრა, თავი ნუ მოგვაქვს, თითქოს ომის არჩევანი გაქვსო“

6

ასწლიანი ომის წინათგრძნობა

7

შესაძლოა, ეს ომი ახლა ღვივდებოდეს, როგორც კოცონი...

საწყალი საქართველო

რუსულმა ენამ აფხაზეთში მშობლიური თითქმის მთლიანად განდევნა!

8

ცხინვალში იმპორტის „ჩრდილიდან გამოყვანას“ ცდილობენ

ლალი მოროშკინა:

ნულოვანი ტოლერანტობა სანდრა რულოვსს!

2

გათიშული სანდრა სპექტაკლის დროს სკამიდან გადმოვარდა

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ:

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲦᲘᲫᲠᲐᲡ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲘᲐᲜ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ 4 ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

„ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲘᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲗ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ 4 ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ 30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲔᲬᲣᲠᲔᲑᲐ.

„ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ , 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ 4 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ .

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 2 ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ, 1-Ს ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ 1-Ს ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲦᲘᲫᲠᲐᲡ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ „ᲢᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ“ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

„ᲐᲥ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ, ᲓᲐᲠᲘ�გᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, ᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲠᲘ ᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲡ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲨᲘ. ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲓᲝᲛᲐ. ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲒᲘᲛᲐᲠᲢᲝᲗ. ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲔᲑᲨᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲓᲝᲛᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲭᲕᲘ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲥ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲐᲚᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲛᲐ, ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲦᲘᲫᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ“, - ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ.

ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, �თᲣ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲔᲜ, ᲘᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲛ ᲙᲣᲚᲣᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲔᲠᲔᲜᲩᲮᲘᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲔᲕᲐ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ.

„ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ, ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ. ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲛᲔᲪ ᲛᲔᲓᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲒᲘᲕᲔᲡ ᲓᲐᲒᲘᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲗ, ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲔᲠᲔᲜᲩᲮᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲐ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗᲝᲗᲐᲪ, ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ.

ᲚᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲝᲨᲙᲘᲜᲐ:

ᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲝᲑᲐ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲡ!

ᲒᲐᲗᲘᲨᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲙᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ

„ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲫᲐᲚᲘ — ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲝᲨᲙᲘᲜᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲡᲣᲡ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ:

„ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲡᲣᲡ-Ს ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ!

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ-ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ, ᲜᲐᲬᲐᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲜᲐᲢᲐᲜᲯᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ! ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲗ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲘᲡᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

ᲘᲡ ᲒᲐᲨᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲯᲐᲨᲣᲨᲘᲐ, ᲠᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ?

ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲘᲨᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲠᲐᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐᲡ, ᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲐᲦᲕᲘᲠᲐᲮᲡᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲣᲐᲠᲡ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲨᲣᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲐᲤᲮᲘᲖᲔᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲙᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲓᲘ!

ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲡ ᲕᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲒᲐᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲡ, ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ, ᲗᲝᲠᲔᲛ... (ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲬᲔᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲡ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲗᲥᲕᲐᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ).

ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲗ ᲞᲘᲠᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲐᲣᲦᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲡ ᲙᲐᲚᲝ ᲓᲐᲣᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ, ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲤᲐᲢᲠᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲝᲡᲜᲝᲐᲛᲝᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ!

ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲗ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲛᲐ ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ!

ᲗᲣ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲘᲛᲜᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲛ ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ!

Ზ.Თ. ᲡᲐᲜᲓᲠᲐᲛ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ ᲛᲔ ᲛᲐᲡᲖᲔ!

ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲡ, ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲣᲑᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲨᲔᲕᲐᲦᲔ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ...

ᲠᲐᲐ, ᲡᲐᲜᲓᲠᲐ, ᲒᲐᲒᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ? ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔ!!! ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲕᲐᲓᲐᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲯᲐᲨᲣᲨᲘᲡ ᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ!!! ᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ „ᲑᲔᲘᲑᲘ“ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲘ, ᲨᲔᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘ, ᲨᲔᲜᲘᲗ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲩᲐᲛᲮᲠᲩᲕᲐᲚᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲛᲐᲧᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ!!! ᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲝᲑᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲡ!“ — ᲬᲔᲠᲡ ᲚᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲝᲨᲙᲘᲜᲐ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲦᲔᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘᲐ

**ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲦᲔᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

უზნეო პარტიზანის ჩინჩლაობა

ბოლო ორი კვირაა თბილისში ერთი ალიაქოთია ატეხილი – საღი ხეები მოჭრეს, თბილისში სუნთქვაც კი აღარ შეიძლებაო. დამნაშავენი, მართლაც, მკაცრად უნდა დაისაჯონ და ისეთი ჯარიმაც უნდა იყოს დაწესებული, რომ კაცს ხის მოჭრის სურვილი სამუდამოდ დაეკარგოს. მაგრამ საქმეს სულ სხვა მიმართულება მიეცა. ლოჭინზე ნაკურთხმა „პოლიტიკოსმა“ ალეკო ელისაშვილმა ჩვეულებისამებრ ერთი ხმაური ატეხა, გამოჩნდა სხვა მწუხარე სახის რაინდებიც – „პარტიზანელი მებაღის“ ლიდერმა ვინმე ნატა ფერაძემ მერიასთან შიმშილობა დაიწყო. მათ წამოაყენეს მოთხოვნები: მერიის გამწვანების სამსახურის უფროსი, რომელმაც გასცა ნებართვა ხეების მოჭრისა და ქალაქის მერიც უნდა გადამდგარიყვნენ თანამდებობიდან. ამ აქციის უკან, როგორც მსვლელობამ აჩვენა, ნაციონალები დგანან. მერიის საკრებულომ ამ საკითხზე თბილისის მერი, ბატონი დავით ნარმანიაც დაიბარა და სხდომის დროს ერთი დავიდარაბა ატყდა. საკრებულოს წევრების ოპოზიციურ ნაწილს საქმის არსი კი არ აინტერესებდათ, არამედ დებოშის ატეხვა, უწმაწური სიტყვებისა და ლანძღვა-გინების კორიანტელის დაყენება და ამით თანამდებობის პირების ღირსების შელახვა. მათ აუხსნეს, რომ საქმე გადაცემული იყო პროკურატურისთვის და ხეების ვარგისიანობის დასადგენად დამატებით სპეციალისტების დასკვნას ელოდებოდნენ. მაგრამ აქციის მონაწილეებსა და საკრებულოს ნაციონალურ წევრებს ეს არ აინტერესებდათ. ყველაფერი ნათელი გახდა, როდესაც ტელევიზია „იბერიამ“ „პარტიზანი მებაღის“ ლიდერი ნატა ფერაძე მიიწვია გადაცემაში. ეს იყო უზნეობის ზენიმი და ამ შემთხვევაში არ შეიძლება თუნდაც საზოგადოების მცირე ნაწილი აყვეს მოშიმშილეთა აქციებს. კერძოდ, გადაცემის ერთ-ერთმა მონაწილემ „პარტიზან მებაღეს“, ნატა ფერაძეს მიმართა, რომ „არ შეიძლება გამგებელი თავისთვის იდგეს და აგინო დედა. ხეები ნაციონალების დროს განუკითხავად იჭრებოდა, – მაგრამ ხმას ვერ იღებდით. 2012 წლამდე გეძინათ?“ პასუხი გამაოგნებელი იყო: „არა, ვტყნაურობდი “... როდესაც გადაცემის მონაწილე ქალბატონმა შენიშნა, როგორ შეიძლება თქვენთან ლაპარაკიო, ნატა ფერაძემ ისევ უწმაწური სიტყვით გასცა პასუხი: „მე მაშინ არ ვიყავი პარტიზანი, მართლა ვტყნაურობდი.

ისე, ეს საქმე თუ ასე ძალიან უყვარს, „ჩინჩლაობდიო“ მაინც ეთქვა. თუმცა, ის მაინც გავიგეთ, რომ ნატა ფერაძეს „პარტიზანი მებაღეობა“ როდესაც ნაციონალებმა თბილისის სკვერებში შენობების ასაშენებლად 700 ძირი ფიჭვი და 300 ძირი კედარი მოჭრეს, მაშინ არ დაუწყია, მაშინ ჩინჩლაობით იჯერებდა გულს.

მკითხველის წინაშე ათას ბოდიშს მოვიხდი ფერაძის ნათქვამი სიტყვის გამეორებისთვის, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს როგორც „მამაკაცისგან დიდკაცის დამდაბლებაი“. მართალი გითხრათ, ჯერ არსად მსმენია ქალი თავის თავს ასე ძალით იმდაბლებდეს და იბახებდეს. დიდ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს უწმაწური, ან როგორც თვითონ უწოდებს „უხამსი“ სიტყვები, რათა ერთმანეთისგან გავარჩიოთ „სახმარი და უხმარი, ჯეროვანი და უჯერო“ სიტყვები. საბას განმარტებით „უხმარი“ არსად სახმარი, ცუდი სიტყვაა. ასეთ სიტყვებს, ნატა ფერაძის ნახმარ „უჯერო“ სიტყვებთან ერთად სპეციალური აღნიშვნა უკეთდებოდა. მაგრამ ამას ამჟამად არას დაგიდევთ ჩვენი ტელევიზიის არხები, რომლებმაც გარყვნეს ქართული ენა. ჩვენი საზოგადოება თავის სიმაღლეზე რომ იდგეს, მოშიმშილე პარტიზან მებაღეებს, კინწისკვრით გააგდებდა მერიის შესასვლელიდან, სადაც ისინი არიან წამოკოტრიალებულები. ისე კი, ნატა ფერაძეს რა ხეების დაცვა უნდა მოსთხოვო, როდესაც თვით საზოგადოებაა მისგან დასაცავი.

საქართველოში ყოველდღე აქციები ტარდება. ქვეყანა, ხალხი ვერ გაუძლებს ასეთ არეულობას, თითქმის ყველა აქციის უკან ნაციონალები დგანან, რომელთაც ქვეყანა სულ რომ დაიქცეს, არ ანაღვლებთ. ნაცების მიზანია, ისევ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ და განუსაზღვრელად იბატონონ ხალხზე, მოსახლეობას ანგარიში გაუსწორონ. ვიდრე ბოლო არ მოეღება ნაციონალების პარპაშს, ქვეყანა ვერ მოისვენებს, ცხოვრება არ დაწყნარდება. ხალხი დაიღალა და ამჯობინებს, გაექცეს მოზღვავებულ უსამართლობას, გაექცეს ყოველივე იმას, რასაც ნაციონალები სჩადიან, რადგან მათი ატანა შეუძლებელი ხდება. ასეთ ვითარებაში რომელ ყველაზე დიდ ეროვნულ სატკივარზე, დემოგრაფიაზე შეიძლება საუბარი და ბავშვების დაბადებაზე. ჯერ კიდევ ვახტანგ ბატონიშვილის სამართალშია აღნიშნული: „უსამართლობა ამა სოფელსა კაცსა უძეოდ აღმოჰფხურის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა – ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუკმვიდრებს.

ესენი ყველაყა უსამართლობისაგან გამოვლენ, და სამართლის ქმნა მეფესა და მსაჯულს ამ ყოვლის ბოროტისგან შორედ ჰყოფს და განსდევნის“.

* * *

ტელევიზია ეკრანს უნდა უთმობდეს ნიჭს და არა უნიჭობას, სწორ და არა გამრუდებულ აზრს. აგერ უკვე ორი კვირაა უკლებლივ ყველა ტელევიზია დილიდან შუაღამემდე აყოლილია ნაციონალების ხუშტურებს და ძირითადად მათ დაკრულზე ცეკვავს. სატირალია, როდესაც ქართველ ქალს გამოაქვს ტრანსპარანტი, რომელზედაც მამაკაცის სარცხვინელი სახელის სამი ასოა დაწერილი. ისედაც პრობლემებით დამძიმებულ ქვეყანაში, ნაციონალები კიდევ უფრო ხელოვნურად ართულებენ ცხოვრებას. გარკვევით ითქვა, რომ ხეების მოჭრის მართებულობის საკითხი გაირკვევა და თუ დანაშაული გამოვლინდა, დამნაშვენი აგებენ პასუხს. გაუგებარია, რატომ მაინცდამაინც ფერაძეების ჭკუაზე უნდა ვიაროთ. ბოლოს და ბოლოს, ხეები კი არა ადამიანები ნადგურდება, ქართული გენი გადაშენების პირზეა და არც ერთი ტელევიზია, „ობიექტივის“ გარდა, ამ პრობლემას არ აშუქებს. ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ მოსახლეობის ორი უკანასკნელი აღწერებშორის პერიოდში (2002-2014 წლებში), სულ რაღაც 12 წელიწადში, ქვეყანაში ყველაზე ხალხმრავალი რეგიონის – იმერეთის მოსახლეობის რაოდენობა 165 ათასი კაცით შემცირდა, სამეგრელოს მოსახლეობა – 135 ათასით, კახეთის – 80 ათასით, პატარა გურიისა – 40 ათასით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ასე გაგრძელდა და საგანგებო ღონისძიებები არ განხორციელდა, ეს რეგიონები ორ-სამ ათეულ წელიწადში გაუკაცრიელდება და იმერეთი, სამეგრელო, გურია... დარჩება როგორც გეოგრაფიული ტერმინი.

სამაგიეროდ, ტელევიზიები გართულნი არიან წვრილ-წვრილი ამბებით, ვის რა ფერის ტრუსი აცვია, ვისი ენა ვის ენაშია გარჭობილი, ნინა წკრიალაშვილი სხვის, ვითომ ცნობილი სახეების, გარდერობში იქექება, მაშინ როდესაც მას ნორმალური დიასახლისი სახლშიც არ შეუშვებს. მყვირალა ინგა გრიგოლია კიდევ აღარ დაიღალა ვითომ ობიექტური ინფორმაციის გადმოცემით, მაია ასათიანი, ნანუკა ჟორჟოლიანი, გია ჯაჯანიძე ორღობეში გაგონილი და მათ მიერვე შეკაზმული ამბების გადმოცემით არიან გართულნი, „რუსთავი-2“ სულ უფრო აფართოებს თავის უკბილო იუმორისტულ შოუებს, ხოლო ძმაცუები (ძმაცუა ძველი ქართული სიტყვაა და ვეერაგს ნიშნავს) ნიკა გვარამია და გიორგი გაბუნია მეტად საშიშ თამაშს ეწევიან ჩვენი ეროვნული ცხოვრების წინააღმდეგ. აღარაფერს ვამბობ სხვადასხვა გასართობი შოუების („ნიჭიერი“, „იქს ფაქტორი“ და სხვ.) ჟიურის წევრების შესახებ. და თუ გნებავთ, თვით ამ გადაცემებზე, რომლებიც ქართული გენის გადაგვარებას ემსახურება.

დაახლოებით ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომლის შესახებაც გასული საუკუნის 20-იან წლებში წერდა ცნობილი ქართველი პოეტი ალექსანდრე აბაშელი (ოდნავი პერიფრაზით): „ახლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან, აზრი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან“. ისიც უნდა გვახსოვდეს, რაც ნეტარხსენებულმა ნოდარ დუმბაძემ ხატოვნად თქვა: „ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს – უხარისხო ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, პურს, უფრო მეტიც, ადამიანმა შეიძლება გაუძლოს შიმშილს, სიშიშვლეს, სიცივეს, სიღატაკეს, მაგრამ სულიერ სიღატაკეს ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ შეეგუება“. ამასთან, ამჟამად ბევრს თავისუფლება გაიგივებული აქვს რასაც უნდა იმის კეთებასთან და ავიწყდება, რომ თავისუფლება უფლებისა და მოვალეობების გარეშე არ არსებობს. უძველესი დროიდან ცნობილი ფილოსოფოსები ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნავდნენ. მაგრამ რად გვინდა შორს წასვლა, დიდ ვაჟა-ფშაველას მოვუსმინოთ: **„თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავიკმაყოფილოთ წინდაუხედავად“.**

როდემდე, საქართველოვ!

ანზორ თოთაძე

> **ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს – უხარისხო ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, პურს, უფრო მეტიც, ადამიანმა შეიძლება გაუძლოს შიმშილს, სიშიშვლეს, სიცივეს, სიღატაკეს, მაგრამ სულიერ სიღატაკეს ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ შეეგუება.**
>
> **ნოდარ დუმბაძე**

ვითარება ძალიან მალე შეიცვლება და სატელევიზიო სივრცეში ბილწსიტყვაობა აღიკვეთება

„დღეს, რაც ხდება სატელევიზიო სივრცეში, ნატა ფერაძის სახით, ალეკო ელისაშვილის სახით, არის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იმის, რომ ჩვენ ვართ პოლიტიკური კულტურის და სამოქალაქო კულტურის განვითარების ძალიან დაბალ დონეზე, თუმცა ვითარება ძალიან მალე შეიცვლება და ძალიან მალე აღიკვეთება ჩვენს სატელევიზიო სივრცეში ბილწსიტყვაობა და სიძულვილის ენა, ეს ძალიან მალე მოხდება.“

ეს განცხადება „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა.

შიმშილობა მხოლოდ პიარისთვის

თბილისის საკრებულოს საგანგებო სხდომაზე ვერთქმული სათქმელი

2016 წლის 26 აგვისტოს, თბილისის საკრებულოს ძალზე გახმაურებულ, წინასწარ დაანონსებულ სხდომაზე, განიხილეს თბილისის მერის, ბატონ დავით ნარმანიას ანგარიში დედაქალაქში გარემოს დაცვისა და გამწვანების პრობლემებთან დაკავშირებით. სხდომას დავესწარი მიწვეული სტუმრის სტატუსით, რაც განაპირობა თბილისის მერიის მუშაობის ავკარგიანობის თაობაზე გამოქვეყნებულმა ჩემმა არაერთმა სტატიამ და ოფიციალურმა წერილმა, რომლებშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული არსებული პრობლემების გადაჭრის კონკრეტული წინადადებები, მამაშვილური რჩევა-დარიგებები და რეკომენდაციები. არ დავმალავ და მოწვევა სიამოვნებით მივიღე, რადგან საშუალება მეძლეოდა კიდევ ერთხელ გამოვსულიყავი სიტყვით იმ ისტორიულ დარბაზში, სადაც 30 წელზე მეტი ხნის წინათ, როგორც დედაქალაქის მაშინდელი რამდენიმე საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს, მევალებოდა გამოსვლა, როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის ორშაბათის ოპერატიულ თათბირებზე, ისე აღმასკომის სხდომებზე.

იმის გამო, რომ არსებულმა რეგლამენტმა საშუალება არ მომცა სიტყვით გამოვსულიყავი ამ ხმაურიან სხდომაზე, მოკლედ გაგაცნობთ, რისი თქმაც მქონდა გადაწყვეტილი. აი ისინიც:

დაახლოებით ორი წლის წინ, როგორც წიგნის, „ჩემო ქართულო მიწავ“ რედაქტორ-გამომცემელი, დავესწარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თავყრილობას, სადაც განხილულ იქნა როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე დედაქალაქში შექმნილი რთული მდგომარეობა გარემოს დაბინძურების და ტყეების მასობრივად ხმობის თვალსაზრისით. ამ ფონზე სხდომის მონაწილეებმა, დედაქალაქის მერიისა და მისი შესაბამისი სამსახურების საქმიანობა შეაფასეს დამაკმაყოფილებლად და ქვეყნის ხელისუფლების წინაშე დააყენეს საკითხი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტისა და სხვა შესაბამისი სპეციფიკური სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციების აღდგენის თაობაზე.

სწორედ ამ სხდომაზე, პირველად შევხვდი და გავიცანი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი, ქალბატონი ნინო სულხანიშვილი, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით ექცეოდა იქ დამსწრე მეცნიერთა მთელი შემადგენლობა. თითქოს არაფერია, მაგრამ ერთ-ერთმა ცნობილმა აკადემიკოსმა, სათათბირო მაგიდასთან, თავისი ადგილიც კი დაუთმო ქალბატონ ნინოს და თავად, ცოტა მოშორებით გადაჯდა. სხდომის დამთავრების შემდეგ ვეახლე ქალბატონ ნინოს, წარვუდგინე ჩემი თავი და ვთხოვე ვაკის პარკისა და მიხეილ მესხის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიებზე, მრავალწლიანი ნარგავების პრობლემებთან დაკავშირებით შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის თაობაზე აუცილებლად მოგვეწყო სპეციალური შეხვედრა.

მეორე დღესვე, მიუხედავად იმისა, რომ არასამუშაო დღე იყო, ჩვენი საუბარი გაგრძელდა ქალბატონ ნინოს კაბინეტში, რომელსაც სამსახურის რამდენიმე თანამშრომელიც ესწრებოდა. ამის შემდეგ ორი-სამ დღეში პირადად მას ადგილზე დავათვალიერებინე მთელი ეს ტერიტორია და შემპირდა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყებდნენ მთელი ამ ტყე-პარკის მოწესრიგების სამუშაოებს. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეებში ეს სამსახური, მთელი თავისი ძალებით ანალოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, სიტყვა არ გატეხეს და ზუსტად დათქმულ დღეს დაიწყეს და ბოლომდე მიიყვანეს შეპირებული საქმე. ბუნებრივია, ამ ფაქტს მოჰყვა „ვაკის პარკის ბილიკის მეგობრების“ სრული შემადგენლობის უდიდესი მადლიერება და დედაქალაქის ამ უსერიოზულეს სამსახურს გამოუცხადეს სრული თანადგომა. საქმისადმი ასეთი გულიანი დამოკიდებულება უყურადღებოდ არც ჩვენ დაგვრჩენია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2016 წლის 5 აპრილს, გამოვაქვეყნეთ სამადლობელი წერილი „გაზაფხულზე თბილისის მერიასა და საკრებულოში ყინული გალღვა“, რომელშიც ამ ფაქტის გარდა მერიისა და საკრებულოს საქმიანობის სხვა დადებით ტენდენციებზეც იყო საუბარი.

როგორც საქართველოს მთავრობის ყოფილი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი და თბილისის პატრიოტი, ამასთან, არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, თავს უფლებას ვაძლევ საკრებულოს სხდომაზე წამოჭრილ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება:

არავითარ შემთხვევაში არ არის გამართლებული გლობალური დათბობის პროცესებით გამოწვეული მთელი რიგი უარყოფითი შედეგების გადაბრალება ცალკეულ პიროვნებებზე;

იმის მიუხედავად, რომ საკრებულოს ამ სხდომაზე ბატონ დავით ნარმანიას შემაჯამებელი გამოსვლა და დასმულ შეკითხვებზე კვალიფიცირებული და საქმიანი პასუხების გაცემა სხდომის მონაწილეთა უმრავლესობის მიერ აღინიშნა ხანგრძლივი ტაშით, უმცირესობის ზოგიერთი წარმომადგენლის ყოველგვარი მცდელობა, რომ თბილისის მერს ხელი შეუშალონ უსერიოზულესი პროექტებისა და გეგმების განხორციელებაში, საზოგადოებამ უნდა შეაფასოს ადეკვატურად;

არავითარი შედეგის მომტანი არ შეიძლება იყოს შიმშილობის აქცია, რომელიც ტარდება პიარისთვის და მით უმეტეს, ის ხდება ესტაფეტის გადაცემის პრინციპით. უფრო გასაგებად — შიმშილობას ვინც იწყებს, მანვე უნდა დაასრულოს იგი;

სასურველია, დედაქალაქის საკრებულოსა და მთავრობის სხდომები ტელევიზიებთან დაკავშირებით ჩატარდეს იმ წესებით და რეგლამენტით, როგორც ეს დამკვიდრდა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სხდომებზე, რათა სხვა თუ არაფერი, გამოირიცხოს ცალკეულ პიროვნებათა თვითრეკლამირებისა და იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვების მცდელობა.

ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი, ნიკო ნიკოლაძის პრემიისა და ზურაბ ანჯაფარიძისა ფონდის ოქროს მედლის მფლობელი.

P. S. დესტრუქციული ძალების რამდენიმე წარმომადგენლის მცდელობა, რომ სხდომა ჩაშლილიყო, არ გამოვიდა, რაც განაპირობა საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილის უდიდესმა მოთმენის უნარმა და სხდომის გაძღოლის მაღალმა დიპლომატიამ.

◎ განსხვავებული აზრი

მე მართლა მჯერა!

ბიძინა გეგიძე უდავოდ კარგ პარლამენტარად წარმომიდგენია. თქვენ ეჭვი გეპარებათ ამაში? მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი. ამ ადამიანს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ პირადი ცნობა რად უნდა ამას - საუკეთესოა თავის პროფესიაში, ბევრჯერ ასახელა ქვეყანა. ესე იგი, მას აქვს ის განსაკუთრებული, ვთქვათ ასე, უნარ-ჩვევები, რაც ბევრს არ გააჩნია და რაც, ვფიქრობ, აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ახალ ასპარეზზეც თავი გამოიჩინოს.

პირადად არც ზაზა ხუციშვილს არ ვიცნობ, მაგრამ ის, რომ ეს ადამიანი ერთ-ერთი ცნობილი მუსიკალური ჯგუფის მთავარი სოლისტი და ამ ჯგუფის „ლოკომოტივია“, ცოტას ნიშნავს? არ ნიშნავს ცოტას. პარლამენტში თუ შევიდა, შეიცვლება და საქმეს აირიდებს? პირიქით, ისევ იმ თავისი „უნარ-ჩვევების“ წყალობით, ვფიქრობ, ვერ მოისვენებს სანამ ძირისძირამდე არ ჩასწვდება ახალ საქმეს.

ბონდო მძინარაშვილს კი კარგად ვიცნობ, წლების განმავლობაში ერთად გვიმუშავია ბეჭდურ მედიაში და ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქარელის რაიონს ძალიან გაუმართლა — სწორი არჩევანის პირობებში საქართველოს პარლამენტი ამ რაიონიდან ბონდო მძინარაშვილის სახით მიიღებს სანდო, საქმიან მაჟორიტარს — ძალიან ნიჭიერ, ძალინ წესიერ და ფუტკარივით მშრომელ დეპუტატს. ამაში ისე ვარ დარწმუნებული, გამიძნელდება დაჯერება, რომ ამ ადამიანზე მეტს გააკეთებენ ქვეყნისთვის და ხალხისთვის პარლამენტარი იურისტები და ფინანსისტები. პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ პროფესიის ხალხს — იურისტებს და ფინანსისტებს ვგულისხმობ, პარლამენტში, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ქვეყნისთვის ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

მათი დაწერილი ერთი კანონი (უფრო სწორად კანონპროექტი) დამისახელეთ, ქვეყანამ რომ იხეირა. რა, ეს პარლამენტში მოხვედრილი მუსიკოსებისა და სპორტსმენების ბრალია?

მკითხველმა ისე არ გაიგოს, თითქოს პარლამენტში იურისტებისა და ფინანსისტების მოხვედრის წინააღმდეგი ვიყო და მათ მაგიერ „ცნობად სახეებზე“ ვამყარებდე მთელ იმედებს. არა, რასაკვირველია, მე სხვა რამ მინდა ვიკითხო: სად გამოჩნდა ამ პროფესიის პარლამენტარების (იურისტებისა და ფინანსისტების) პროფესიონალიზმი?

ფინანსისტებს ამდენი ხანი ის ვერ გაურკვევიათ, რამდენი უნდა იყოს საარსებო მინიმუმი, ადამიანმა თავი ადამიანად რომ იგრძნოს. იურისტები კი ისეთ კანონებს გვიწერენ, ელემენტარულად საჯარო სამსახურებში ყბადაღებული კონკურსებისთვის ვერ მიუხედავთ. სრული განუკითხაობაა ამ სფეროში. მე შენ გეტყვი, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას როგორი უსამართლოც არ უნდა იყოს იგი, სადმე გაასაჩივრებ! გასაჩივრებას არ ექვემდებარება, სამართლებრივი აქტი არ არისო, — გიპასუხებენ. ასეთი დრაკონული კანონებით ქვეყანაში ნიჰილიზმი დათესეს და ქვეყნიდან მოსახლეობის დიდი ნაწილის, მათ შორის ახალგაზრდების უწყვეტ გადინებას შეუწყვეს ხელი. ან კონსტიტუციას როგორ ეპყრობიან - ჭრიან და კერავენ როგორც მოეპრიანებათ.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გასატარებელი პირველ რიგში, სწორედ პარლამენტარი იურისტები და ფინანსისტები მგონია და არა „ცნობადი სახეები“.

„ცნობად სახეებს“ (საზოგადოებამ დაარქვა მათ ეს სახელი) კი ნუ გავაქილიკებთ. ამ დამსახურებულ ხალხს პატივისცემით მოვეპყრათ. მე მართლა მჯერა, რომ მათი დიდი შემოქმედებითი ენერგია და პოტენციალი სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ ასპარეზზე გაიბრწყინებს და თუ ვცდები, ყოველ შემთხვევაში, გაფუჭებით მაინც არ გააფუჭებენ არაფერს.

მზია გელენავა,
ჟურნალისტი

◎ საქმემან შენმან...

გულქართლი გამგებელი

საოცარია, ამ ერთ სიტყვაში — „გულქართლი“ — როგორ ჩატია ქართველმა ადამიანმა ყველა ის შინაარსი, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყველა ნაღდ მამულიშვილს.

გულქართლი გულისხმობს: გულიანს, გულკეთილს, გულისხმიერს, ერთგულს, გულითადს... სწორედ ასეთი ადამიანია **ირაკლი კუჭავა,** ჩოხატაურის რაიონის გამგებელი, ჭეშმარიტი ქართველი, ღირსეული ოჯახის შვილი.

მისი ბაბუა, აწ გარდაცვლილი იერემია კუჭავა ჩოხატაურის I საშუალო სკოლის შეუცვლელი დირექტორი, პატივსაცემი პიროვნება გახლდათ. მუდამ დისციპლინებული, საზოგადოებაში სიკეთის მთესველი.

მამა, ბიჭიკო კუჭავა, ჩოხატაურის რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მუდამ პატივისცემას აღძრავს ჩემში — ერუდირებული, თავმდაბალი, კარგად აღზრდილი ინტელიგენტი.

ოჯახის მე-3 თაობაა ირაკლი კუჭავა. იგი საჭირო დროს მოხვდა საჭირო ადგილას. რაიონის თავკაცი შეჭირვებულ ადამიანთა ქომაგია. ერთი ფუთი მარილი არ დაგჭირდება მის გასაცნობად. უზომოდ განათლებულს, კარგად ახსოვს პავლე მოციქულის სიტყვები. „ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და ისე აღვასრულოთ ქრისტეს სჯული“... და უნაწილებს თანაბრად ყველას თავის შესაძლებლობების ფარგლებში.

„მადლი რა არის, ორ კაცს შორის გაკეთებული სიკეთეაო“, ბრძანებდა ილია. ადამიანი რომ არ იყოს, სიკეთე და მადლიც არ იქნებოდაო. ჰოდა, არც ის აკლია ჩვენს გამგებელს, მადლიანსა და გულქართლს.

...ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე — ელისო სიხარულიძე — რაიონის მოსახლეობის საყვარელი ექიმი, ნევროპათოლოგი.

ორი შვილი — მარიტა და თორნიკე.

მარიტა შვედი ხალხის რძალია და საქართველოს დესპანია შვედეთში.

თორნიკემ სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, სწავლა ამერიკაში განაგრძო და დღეს ერთ-ერთი კომპანიის ხელმძვანელია თბილისში.

ბატონი ირაკლი ენერგიით სავსე კაცია — მომავალი სწორედ ასეთ ადამიანთა მოთხოვნებს უყენებს ქვეყანას, სიტყვის პატრონი, პირის არგამტეხი, საქმიანი და ქველი. გულწრფელ მადლობას გიხდით, ბატონო ირაკლი.

„საქმემან შენმამ გამოგაჩინოს!“

გიული ჩხიკვაძე,

ჩოხატაური — თბილისი

ვეჯინის სასოფლო-სამეურნეო ფართობებს წყლის მიწოდება აღუდგება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ აწარმოებს ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ვეჯინის არხის 2-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რის შემდეგ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში 110 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე აღდგება სარწყავი წყლის მიწოდება.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა წყალგამშვები ფარები და სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები.

სარეაბილიტაციო პროექტი, რომლის ღირებულებაც 226 749 ლარია, მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება.

2012 წლიდან კახეთის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 30 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად, რეგიონში წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 6 100 ჰექტრიდან 14 000 ჰექტრამდეა გაზრდილი.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პირველი მონაკვეთი სრულდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

სამტრედია–გრიგოლეთის ავტომაგისტრალის პირველი — 11,5-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში დაიგება 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, აშენდება 8 სახიდე გადასასვლელი და 27 ხელოვნური ნაგებობა. ამ დროისათვის, აღნიშნულ მონაკვეთზე გზის საფუძვლისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამტრედია-გრიგოლეთის გზის აღნიშნული მონაკვეთი ქალაქ სამტრედიას და სამტრედიისა და აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ტოლებს, გორმაღალას, პირველ მაისსა და გაუწყინარს გაივლის. პროექტის დასრულების შემდეგ, მოძრაობა კომფორტული და უსაფრთხო გახდება, შემცირდება საავტომობილო გადაზიდვების ხარჯი და გაიზრდება სატრანზიტო მიმოსვლა.

გრიგოლ ლილუაშვილი:

ლონდონის მუზეუმში დაცული საგანძური დაგვიბრუნდება

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ვანისა და ხონის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა წინა საარჩევნო შეხვედრები ვანის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში გამართა.

პარტიის პრესსამსახურის ცნობით, კანდიდატმა შეხვედრებზე დეტალურად მოისმინა ის საკითხები, რომელიც მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია. გრიგოლ ლილუაშვილმა ამომრჩეველს ის სამომავლო გეგმები გააცნო რომელიც ხელისუფლებას ქვეყნის განვითარებისთვის აქვს დაგეგმილი.

„ქართული ოცნების ხელისუფლება ბიუჯეტის 26% სოციალურ პროექტებზე ხარჯავს, ეს არის ჰუმანური მთავრობის მიერ გადადგმული ჰუმანური ნაბიჯი, რომელიც სამომავლოდაც გაგრძელდება. სწორედ ქართული ოცნება იქნება ის პირველი ხელისუფლება, ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, რომელიც საქართველოს ლონდონის მუზეუმში დაცულ საგანძურს დაუბრუნებს და ვანის მუზეუმში განათავსებს. ხალხზე ორიენტირებული მმართველობით კი შევძლებთ მყარი და ძლიერი სახელმწიფო ავაშენოთ“ — განაცხადა კანდიდატმა ვანის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრაზე.

აღმაშენებლის გამზირზე საკომუნიკაციო ქსელი აღდგენილია

თბილისის განვითარების ფონდის პროექტის „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დავით აღმაშენებლის გამზირზე საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების რეაბილიტაციის აუცილებლობა დადგა რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო:

მარჯანიშვილის მოედნიდან საარბრუკენის მოედნამდე მონაკვეთში მოძველებული იყო საკანალიზაციო და წყლის მიწოდების სისტემა, რომელიც აღარ აკმაყოფილებდა დღევანდელ მოთხოვნებს; გამზირის ამ ნაწილში საერთოდ არ არსებობდა სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემა, რის გამოც გრუნტის წყლები საფრთხეს უქმნიდა გამზირზე განთავსებული შენობების კონსტრუქციულ მდგრადობას; გამზირის ამ მონაკვეთის კომერციულად გააქტიურების პროგნოზის მიხედვით, როგორც წყლის, ისე ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის არსებული სიმძლავრეები ითხოვდა ზრდას და სხვ.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოები 2016 წლის აპრილში დაიწყო.

გარკვეულ მონაკვეთებში მაგისტრალური კანალიზაციის მილის დაზიანებების გამო, გაყვანილობა შეიცვალა გოფრირებული პოლიეთილენის მილებით (ჯამში 713 მეტრი) და მოეწყო კანალიზაციის გამწმენდი ჭები (კამერები).

დავით აღმაშენებლის გამზირზე, სანიაღვრე ქსელის არ არსებობის გამო, უხვი ნალექის დროს მოსახლეობას ექმნებოდა სარდაფების დატბორვის პრობლემა. პროექტის ფარგლებში აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, მოეწყო სანიაღვრე კოლექტორი საკონტროლო კამერებით (1038 მეტრი). მოეწყო სადრენაჟე ქსელი (720 მეტრი) დავით აღმაშენებლის გამზირზე, რომლითაც მოხდება მიწისქვეშა გრუნტის წყლების შეკრება ერთიან მართვად სისტემაში, შედეგად მოიხსნა შენობების საძირკვლების დაზიანების საშიშროება. შეიცვალა დაზიანებული მაგისტრალური წყალსადენის ლითონის მილები (962 მეტრი) მაღალი წნევის პოლიეთილენის მილებით, რომლებიც სამომავლოდ იძლევა წყლის წნევის 4-ჯერ გაზრდის საშუალებას, რაც უზრუნველყოფს წყლის მაღალი წნევით მიწოდებას და ხასიათდება ექსპლუატაციის ხანგრძლივი ვადით. გაზმომარაგების სისტემის დიდი ნაწილი იყო მოწყობილი საჰაერო გზით, რაც ამახინჯებდა შენობის ფასადებს. პროექტის ფარგლებში, მოხდა ძველი გაყვანილობის დემონტაჟი და მიწის ქვეშ ახალი გაზსადენის ცენტრალური მაგისტრალის მონტაჟი (750 მეტრი).

შეიცვლება გარე განათების ბოძები და მათი დამაკავშირებელი სადენები. მიწისქვეშ ეწყობა დამატებითი სარეზერვო სადენები (ჯამში 3600 მეტრი). შეიცვალა საჰაერო გზით მოწყობილი მაღალი ძაბვის დენის და ელექტროენერგიის გადამცემი მაგისტრალური სადენები (1800 მეტრი) და გაიზარდა მათი კვეთები, რაც დამატებითი სიმძლავრის ელექტრო ენერგიის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

დავით აღმაშენებლის გამზირზე, აღნიშნული სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია, დარჩენილი სამუშაოები ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოების პარალელურად გაგრძელდება და სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

ახალი მანათობელი აბრა დედაქალაქის შემოსასვლელში

„თბილსერვის ჯგუფი“ დედაქალაქის შემოსასვლელში ახალ მანათობელ აბრას დაამონტაჟებს.

არსებულ მანათობელ, მანიშნებელ აბრას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდება. განხორციელდება სამღებრო სამუშაოები, დამონტაჟდება შიდა განათება, შეიცვლება ელ. გაყვანილობა. სამუშაოებს შპს „svc- ორი კვირის განმავლობაში განახორციელებს.

„პირადად ვიყავი ოთახში, როცა კონდოლიზა რაისმა სააკაშვილს უთხრა, თავი ნუ მოგაქვს, თითქოს ომის არჩევანი გაქვსო“

ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციების კოორდინატორ **დენიელ ფრიდს** რუსეთ-საქართველოს ომზე და მის შედეგებზე ესაუბრა. ექსკლუზიურ ინტერვიუში, ფრიდმა, რომელიც წარსულში სახელმწიფო მდივნის მოადგილე იყო, ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთოებებზეც ისაუბრა.

— რუსეთ-საქართველოს ომის დროს თქვენ სახელმწიფო მდივნის მოადგილე იყავით. როგორ ფიქრობთ, ომი გარდუვალი იყო?

— ომი გარდუვალი არ იყო, მაგრამ მისი ალბათობა მაღალი გახლდათ, იმიტომ რომ რუსეთს უნდოდა, ეს მომხდარიყო. რუსეთი პროვოკაციებს მანამდე გააგრძელებდა, სანამ თავის ომს არ მიიღებდა.

— ომის შემდეგ ამერიკაში, ევროპასა და საქართველოში გაჩნდა შეხედულება, რომ ამერიკის მხარდაჭერამ, რომელიც უპირობო მხარდაჭერად აღიქმებოდა, პრეზიდენტი სააკაშვილი წააქეზა რუსეთთან კონფრონტაციული პოზიცია დაეჭირა. თქვენ რას ფიქრობთ?

— ამ შეხედულებას არ ვეთანხმები — პირველი, ამერიკის მხარდაჭერა უპირობო არ იყო და მეორე — მიხეილ სააკაშვილი დაუდევრად მოიქცა. **ჩემი აზრით, მან შეცდომა დაუშვა, როცა ჯარს საომარი მოქმედების დაწყება უბრძანა,** მაგრამ რუსები ყველაფერს აკეთებდნენ ქართველების პროვოკაციაზე წამოსაგებად. ჩემი აზრით, ქართველები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთისთვის პრობლემების შექმნას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ხომ მათი ტერიტორიაა.

მიხეილ სააკაშვილის აგრესიულობას რაც შეეხება, ვფიქრობ, ეს მცდარი არგუმენტია, მაგრამ ასევე მიმაჩნია, რომ ის არასწორი იყო, როცა ჯარით შევიდა. ეუთოს ანგარიში, რომელიც საქართველოს ადანაშაულებს იმაში, რომ რუსეთის პროვოკაციას წამოეგო, სწორია. იმის თქმა, რომ მიხეილ სააკაშვილი აგრესიული იყო, რუსეთს ომის დაწყების პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. ეს შეხედულება ამერიკის პოზიციასაც არასწორად წარმოაჩენს. მახსოვს იყო საუბარი იმაზე, რომ ამერიკამ, თითქოსდა მიხეილ სააკაშვილს საიდუმლო მწვანე შუქი აუნთო. მე პირადად ვიყავი ოთახში, როცა კონდოლიზა რაისმა მიხეილ სააკაშვილს უთხრა, რომ **„სამხედრო ოპერაციის არჩევანი არ გაქვს და თავი ნუ მოგაქვს ისე, თითქოს ეს გაქვს“**. მას ჩვენგან მკაფიო წითელი შუქი ჰქონდა სამხედრო ოპერაციაზე. მათ საჭიროდ ჩათვალეს ჩვენთვის არ მოესმინათ და ამისთვის საზღაური მიიღეს.

— თქვენი აზრით, დასავლეთის რეაქცია ამ ომზე ადეკვატური იყო — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა?

— დასავლეთი მაშინ გაყოფილი იყო. რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სანქციებით არ ვუპასუხეთ. დღევანდელი შეფასებით, სანქციების დაწესება, ალბათ, შესაძლებელი იყო, მაგრამ ჩვენ ერთიანობა გვაკლდა. ამიტომ სანქციების ნაცვლად ჩვენ საქართველოს ეკონომიკის დახმარება და სტაბილიზება გადავწყვიტეთ. ამ დახმარებით, ჩვენ დანარჩენი საქართველო გადავარჩინეთ დ, ვფიქრობ, ეს ეფექტური იყო.

— ომამდე რამდენიმე თვით ადრე, ნატომ ბუქარესტის სამიტზე საქართველოს მანამდე არნახული მხარდაჭერა გამოუცხადა და თქვა, რომ ქვეყანა ნატოს წევრი გახდება. ამ განცხადებიდან რამდენიმე თვეში, რუსეთის საქართველოში შეჭრის შემდეგ, ეს მხარდაჭერა გაქრა. უკრაინის შემთხვევაშიც თითქმის იგივე სცენარი განვითარდა, მაგრამ უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთს სანქციები დაუწესდა. რა განსხვავება იყო უკრაინასა და საქართველოს შორის?

— უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ დასავლეთი საქართველოსთან დაკავშირებით გაყოფილი იყო, უკრაინასთან დაკავშირებით კი არა. კანცლერი მერკელი სააკაშვილს ყოველთვის სკეპტიკურად აფასებდა. პრეზიდენტ სააკაშვილს ისტორიკოსები შეაფასებენ — მას ჰქონდა დადებითი მხარეები და ბევრი რამ გააკეთა საქართველოსთვის, მაგრამ ბევრი შეცდომაც დაუშვა. ამასთან, დასავლეთმა არ იცოდა როგორ შეედგინა სანქციები. სანქციებზე უფრო მეტი ვისწავლეთ 2008 წელს, ირანის გამოცდილების შემდეგ. როცა რუსეთი უკრაინას დაესხა თავს, დასავლეთი ერთიანი იყო, გერმანიას ძლიერი პოზიცია ჰქონდა და სანქციებშიც მეტი გამოცდილება გვქონდა. ბუშის ადმინისტრაციამ ომის შემდეგ სანქციების დაწესება განიხილა. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთი გაერთიანებული არ იყო, გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ ამერიკის ორმხრივი სანქციები შედეგს არ მოიტანდა. გარდა ამისა, ბუშის ადმინისტრაციას დრო და ენერგია აღარ ჰქონდა დარჩენილი. რუსეთზე სანქციების დაწესების ნაცვლად, ჩვენ საქართველოს ეკონომიკის დახმარება გადავწყვიტეთ. სხვათა შორის, ამ ძალისხმევაში მაშინ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა სენატორმა ჯო ბაიდენმა დიდი დახმარება გაგვიწია.

— როგორ ფიქრობთ, 2008 წელს რუსეთის დაუსჯელობამ წააქეზა კრემლი მეზობლების მიმართ უფრო აგრესიული პოლიტიკის შემუშავებისკენ? მიგაჩნიათ თუ არა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა 2014 წლის უკრაინამდე მიგვიყვანა?

— ვისურვებდი, რომ ამას არ ვამბობდე, მაგრამ ვფიქრობ, მართალი ხართ. რუსებმა შესაძლოა, იფიქრეს, რომ ეს ომი გაუვიდათ. და შეიძლება იფიქრეს, რომ უკრაინის შემთხვევაშიც, დასავლეთის რეაქცია ისევე დაყოფილი იქნებოდა. ისინი შეცდნენ. ვფიქრობ, ამან ისინი გააკვირვა, რადგან, მგონი, არ ელოდნენ დასავლეთის ერთიანობას და, განსაკუთრებით, სანქციებს. დასავლეთს გარკვეული დრო დასჭირდა იმისთვის, რომ საქართველოში მიღებული გამოცდილება გაეცნობიერებინა.

— რამ შეუწყო დასავლეთს ხელი ამ გამოცდილების გაცნობიერებაში? რა იყო ეს — დასავლეური ღირებულებების დაცვა, უსაფრთხოება თუ რაიმე სხვა?

— ყველა ეგ ფაქტორი ერთად. ჩემი აზრით, დასავლეთმა თავდაპირველად საქართველოს ომი ცალკეულ შემთხვევად ჩათვალა. ევროპაში იყო შეხედულება, რომ რუსებმა ეს საქართველოს იმიტომ გაუკეთეს, რომ იქ სააკაშვილი იყო. როცა რუსეთი უკრაინას დაესხა თავს, დასავლეთმა გააცნობიერა, რომ საქართველო ცალკეული შემთხვევა არ იყო.

— თქვენ ნატოს გაფართოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაწილე იყავით 1990-იანებსა და 2000-იანების დასაწყისში. ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაც თქვენი დიდი დამსახურებაა. დღეს როგორ აფასებთ საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივას?

— ამერიკამ, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მმართველობის დროს, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებები დაიცვა. ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს დღეს გმირული პერიოდი არ არის. იზოლაციონისტური ძალები ამერიკაშიც და ევროპაშიც მომძლავრდნენ. ეს ფაქტია! მე ეს არ მომწონს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რეალურად შევაფასოთ გამოწვევები. ასევე მნიშვნელოვანია, რუსეთს არ მივცეთ ამის ბოროტად გამოყენების საშუალება ან საქართველოს სუვერენიტეტთან ან არჩევანთან დაკავშირებით რაიმე კომპრომისზე წავიდეთ. მოკლევადიან პერსპექტივაში, დიდი წინსვლა არ გვექნება. 1990-იანებსა და 2000-იანების დასაწყისში საქართველომ, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ვერ შეძლო იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს ჰქონდათ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსებული მდგომარეობა სამუდამოა. მაგრამ ამასთან, არ უნდა შევიქმნათ გადაჭარბებული წარმოდგენა იმაზე, თუ რის მიღწევა შეგვიძლია ახლო პერსპექტივაში, მაგრამ არასოდეს უნდა შევაფასოთ ნაკლებად ის, რისი მიღწევაც მომავალშია შესაძლებელი. ჩემი რეკომენდაცია საქართველოსთვის იქნება ის, რომ გააკეთეთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ მოცემულ დროში იმ ვითარების გათვალისწინებით, რაც გაქვთ. არ იფიქროთ, რომ მიმდინარე სირთულეები, რომლებიც დასავლეთში დღეს გვაქვს, სამუდამოდ ასე დარჩება და თქვენი მიზნები ამ დასკვნას არ დაუკავშიროთ.

— ამ შეხედულების კონტრარგუმენტი და რუსული რბილი ძალის ნარატივიც ის არის, რომ ნატო უკვე დიდი ხანია, თავს იკავებს საქართველოსთან დაახლოებისგან, რომ ნატო საქართველოს არასოდეს მიიღებს სრულფასოვან წევრად. როგორ შეიძლება ამ ნარატივის წინააღმდეგ ბრძოლა, როცა ცხადად ჩანს ის, რომ დასავლეთი არ არის მზად, საქართველო თანასწორუფლებიან წევრად მიიღოს?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, ტაქტიკურად მიუდგები ამ საკითხს თუ სტრატეგიულად. მართალია ის, რომ ვარშავის სამიტზე ნატომ საქართველოს სამოქმედო გეგმა არ შესთავაზა. შეერთებულ შტატებს ეს რომ მოეთხოვა, ძალისხმევა უშედეგოდ დამთავრდებოდა და რა შედეგს მოუტანდა ეს საქართველოს? თუ საქართველო თვლის, რომ ნატოსგან მოკლევადიანი მოგების მიღება მისთვის სასარგებლოა, ვფიქრობ, ეს შეცდომა იქნება. საქართველომ გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა დაინახოს საკუთარი თავი — გააძლიეროს ინსტიტუტები, დემოკრატია. 1990-იანების ბოლოს პოლონელებიც იგივე სიტუაციაში იყვნენ. მაშინ მე მათ ვეუბნებოდი, მოითმინეთ, თქვენი დრო მოვა, შინ ყველაფერი გამართეთ და დაელოდეთ. სწორედ ასეც მოხდა. საქართველომ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ნატოს წევრობა მიზნის მისაღწევი საშუალებაა. რა არის მიზანი, რომლის მიღწევაც საქართველოს სურს? ქართველები მეუბნებიან, რომ მათი მიზანი სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაა, რომელიც ევროპის ნაწილი იქნება. ძალიან კარგი, მაშინ იმუშავეთ ამ მიზანზე ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები დაძაბულობა და ნაპერწკლები გააჩინოთ.

— რა არის ეს მეთოდები?

— ნატოზე ზეწოლა და დაუყოვნებელი მოთხოვნა, რომ საქართველო ახლავე მიიღოს ალიანსში, უშედეგოდ დამთავრდება. ამიტომ რა საჭიროა ამ გზის არჩევა? იარეთ გზაზე ნაკლები წინაღობით და გამოიყენეთ შესაძლებლობები. საქართველოს ყველა მეგობარი, რესპუბლიკელია ის თუ დემოკრატი, საქართველოს მეგობრად რჩება. თქვენი დასუსტების საშუალება არავის მისცეთ და უფრო ხელსაყრელ პერიოდს დაელოდეთ.

* * *

ვრცელ ინტერვიუში დენიელ ფრიდი სხვა საკითხებზეც საუბრობს:

ა) რუსეთის მიმართ გამოცხადებული სანქციების შედეგებზე („რუსეთის ეკონომიკა ცუდ მდგომარეობაშია... სანქციები რომ არ გვქონდეს დაწესებული, უკრაინაში მდგომარეობა უფრო რთულად იქნებოდა“); ბ) ევროკავშირის მიერ სანქციების მოხსნის პერსპექტივაზე („ეს არ იქნება მათთვის ადვილი გადაწყვეტილება“); გ) რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე (რუსეთ-ჩინეთთან ურთიერთობა: „მოსაზრება, რომ რუსეთი ჩინეთთან ბლოკს შეკრავს, ხშირად მესმის, მაგრამ ვინ იქნება ამ ბლოკში უფროსი პარტნიორი და ვინ დაქვემდებარებული“?, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობა: „მოსკოვს დასავლეთის დაყოფა სურს“; რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობა: „ჩვენ რუსეთს ვუთხარით, რომ მათთან თანამშრომლობა გვინდა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენს ინტერესებს, ჩვენს ღირებულებებს და სხვა ხალხების ინტერესებს მოსკოვთან ურთიერთობას არ შევწირავთ“).

„ამერიკის ხმა“

ასწლიანი ომის ნინათგრძნობა

შესაძლოა, ეს ომი ახლა ღვივდებოდეს, როგორც კოცონი...

რვა წლის წინთ აგვისტოს დასაწყისში დაიწყო ომი, რომელშიც საქართველომ მძიმე მარცხი განიცადა. მის შედეგებთან ბრძოლის პარალელურად საქართველოს ხელისუფლება ახალ სტრატეგიებს გამოიმუშავებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

თავისი ცუსიმა ყოველი ერის ბიოგრაფიაში მოიძებნება, ხოლო ცალკეული ქართული ქალაქები და პროვინციები არაერთხელ ათწლეულებით, საუკუნეებითაც კი სხვა დერჟავების კონტროლქვეშ გადადიოდა, რომელთა უმრავლესობა უკვე დიდი ხანია, იმპერიების სასაფლაოზე განისვენებს... გრძელი ისტორიისა და მეხსიერების მქონე ხალხებისთვის 30-წლიანი კონფლიქტი სადავო ტერიტორიების ხელიდან ხელში გადასვლით პირველი აქტიც კი არ არის – უფრო პროლოგია.

რუსეთის სიდიადე, უდავოდ, შთამბეჭდავია, თუმცა მას მუდმივად რაღაც ემართება: ხან ყირიმის ომი, ხან ბრესტის ზავი, ხან იმპერიის ორი დაცემა არასრული 100 წლის განმავლობაში და მას არცთუ იშვიათად უკან დახევა უწევს. სწორედ ამაზე დებს ფსონს ქართული პოლიტელიტა, მით უფრო, რომ რუსეთმა და დასავლეთმა თითქოს მიზნად დაისახეს XIX საუკუნის დიდი კრიზისის დეტალებში რეკონსტრუქცია. თბილისში სერიოზულად არ განიხილავენ განცხადებებს იმის შესახებ, რომ 2008 წლის ომმა კონფლიქტის ზონაში სიტუაცია სამუდამოდ შეცვალა, ვინაიდან არცთუ დიდი ხნის წინათ დაიმსხვრა უამრავი ბარიერი, რომელსაც კრემლი დაუძლეველად მიიჩნევდა. თავად ისტორიაც ხშირად ჩაგვჩურჩულებს: „არასოდეს თქვა „სამუდამოდ“.

ქართველების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ომი გრძელდება, იღებს რა ამა თუ იმ ფორმას, შესაძლოა, ის მხოლოდ ახლა ღვივდებოდეს, როგორც კოცონი, რათა ამობუგოს არაერთი თაობის სულები, დამჭკნარი ფოთლების მსგავსად. ვაი რომ ბევრი ვერ ნახავს, რით დასრულდება დაპირისპირება, რომელშიც რუსეთს ორი მოკავშირე ჰყავს – არმია და ფლოტი, საქართველოს კი – მხოლოდ ერთი – დრო.

რა თქმა უნდა, თეორიულად შესაძლებელია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის მოულოდნელი გაძლიერებაც. წამყვანი პოლიტიკოსები დროდადრო (მხოლოდ პირად საუბრებში) მსჯელობენ იმაზე, როგორ შეიცვლება „დაპირისპირების რეგიონებისთვის“ ბრძოლის ტაქტიკა მსგავს პირობებში. თუმცა ამ ვარიანტს თბილისში ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევენ და საუბარია, როგორც წესი, ძალისხმევის ეტაპობრივ ზრდაზე დასავლეთის ზეწოლის ქვეშ რუსეთის დასუსტების კვალდაკვალ.

ნათელია, რომ ახლა მოვლენათა ფორსირება დაუშვებელია, ამდენად საქართველოს ხელმძღვანელობა კოცენტრირებულია არაპირდაპირ მოქმედებასა და „რბილ ძალაზე“. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეფასებებს, რომლის პროკურორები 2008 წლის აგვისტოში ჩადენილ დანაშაულებს იკვლევენ. თუ სასამართლო დაადასტურებს ქართველი მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას ეთნიკური წმენდის ელემენტებით, ეს დაეხმარება საქართველოს ხელისუფლებას, არა მხოლოდ სეცესიონისტების დისკრედიტაცია მოახდინოს, არამედ წინა პლანზე წამოსწიოს დაზარალებულთა უფლებების თემა.

ბოლო დროს ოფიციალური თბილისი კონფლიქტის აღწერის ენასაც ცვლის. XX საუკუნეში ესოდენ აქტუალური განრისხებული მონოლოგები იურისდიქციისა და ეროვნული გრძნობების შესახებ ნელ-ნელა სუსტდება, პრიორიტეტული კი ადამიანის უფლებათა დაცვის თემა ხდება არა მარტო კონფლიქტის ზონიდან დევნილების, არამედ მათ მიმართაც, ვინც იქ დარჩა – განურჩევლად ეროვნებისა. ამავდროულად, საქართველოს მთავრობა ირგებს დემოკრატიისა და ტირანიის დაპირისპირების კლასიკურ მოდელს თანმდევი ბრძოლით თავისუფალი სამყაროს ღირებულებების განმტკიცებისათვის (არც ერთი ქვეყნის და მით უფრო ხალხის წინააღმდეგ, არამედ სწორედაც რომ მათ მხარდასაჭერად). 2006 წელს რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მიღწეული წარმატების გათვალისწინებით, თბილისში ჰააგის პროკურორების გამოძიების შედეგებს არასაკმარისად თავშეკავებული ოპტიმიზმით ელოდებიან.

წინა რეჟიმი ბავშვური ჟინით აწარმოებდა საინფორმაციო ომს და იმის მაგივრად, რომ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მიეყვანა მიზნობრივი აუდიტორია სასურველ დასკვნებამდე, თავად სთავაზობდა მათ მზა სახით. მისი მთავარი გზავნილი თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მოსახლეობისადმი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: **„თქვენი ბელადები ცუდები არიან, ჩვენ კი – კარგები, ამიტომაც მოდით, ერთად ვიცხოვროთო“,** რაც საკმაოდ უგონოდ ჟღერდა მილიტარისტული დემონსტრაციების ფონზე. ახლა კი (პროპაგანდისტული მანქანის გაშვება ჯერ არ დასრულებულა) ცუდების და კარგების ისტორიებს, როგორც ჩანს, ერთმანეთისგან გამიჯნავენ. პირველ შემთხვევაში მთავარ თემად იქცევა უთანხმოებები „რუსული სამყაროს“ რეალიებსა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს შორის, და ძირითადი სამუშაო, როგორც ჩანს, სხვა ქვეყნების მედიასაშუალებებით იწარმოებს. ამასთან ყოველგვარი (ხილული) კავშირის გარეშე გაფართოვდება ჰუმანიტარული პროგრამები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებისთვის (და არა მარტო ჯანდაცვის სამინისტროს ხაზით) – ისინი შეიძლება, მივამსგავსოთ წვეთებს, რომელიც წლიდან წლამდე ქვას ხვრეტს...

ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმეტესობა თვლის, რომ ჩრდილოეთ კავკასიასა და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის სატრანსპორტო კავშირის გაძლიერებამ თავის დროზე კატალიზატორის როლი ითამაშა სეპარატისტული მოძრაობებისთვის – უპირველესად ეს ზღვის სანაპიროზე გამავალ რკინიგზასა და როკის გვირაბს ეხება. ფიქრები ამ თემაზე მუდმივად უბიძგებთ მათ „მიზიდულობის წერტილების“ შექმნისაკენ – ანაკლიის სიახლოვეს პორტისა და სავაჭრო ზონის, ასევე ერგნეთის ბაზრობის „რეინკარნაციისკენ“. თუმცა ბევრად უფრო მნიშვნელოვნად წარმოჩინდება (დასავლელ პარტნიორებთან ერთობლივი) ჩართულობის სტრატეგიის გამომუშავება, რომელიც სეპარატისტული რესპუბლიკების მოსახლეობისთვის და უპირველესად ახალგაზრდობისთვის (რომელმაც შესაძლოა, მომავლის კონტრელიტა წარმოშვას) „ევროპული ალტერნატივის“ შეთავაზების შესაძლებლობას იძლევა.

„ქართული ოცნება“ გააგრძელებს რადიკალური ნაციონალიზმის მარგინალიზაციის კურსს, რომელიც პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში „საკითხის საბოლოოდ გადაჭრას“ გულისხმობდა. სააკაშვილი (მანამდე კი გამსახურდია) ამ დემონის მოთვინიერებას ცდილობდა, თუმცა მის მძევლად იქცნენ. ივანიშვილი მსგავსი ექსპერიმენტებისთვის ზედმეტად ფრთხილია. იგივე შეიძლება, ითქვას თანამშრომლობაზე ოპოზიციასთან მოსკოვში და ჩრდილოეთ კავკასიაში – ყველაზე „ცეცხლსაშიში“ პროგრამები დახურულია, თუმცა არა ყველა და, როგორც ჩანს, არა სამუდამოდ.

სპეცსამსახურებისა და ჯარისგან ამ ეტაპზე მხოლოდ ვითარებაზე დაკვირვებასა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას მოითხოვენ. ტაქტიკური, უფრო სწორად ემოციური სარგებელი ცალკეული ძალისმიერი აქციებისაგან (მაგალითად, შურისძიებისა –სოფელ ხურჩაში ამასწინათ მომხდარი მკვლელობის მსგავს შემთხვევებში) მომავალშიც მსხვერპლად შეეწირება „სტრატეგიული თმენის“ (ან მოლოდინის) პოლიტიკას, რაც, უდავოდ, ყველას არ მოეწონება. უკვე წამოიზარდნენ თინეიჯერები, რომელთა ყველაზე შთამბეჭდავ მოგონებას რუსული ბომბდამშენების შეტევები, დევნილთა კოლონები და გადამწვარი ქართული სოფლები წარმოადგენს, და ისინი გადამწყვეტ რევანშზე ოცნებობენ.

ქართველების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ომი გრძელდება, იღებს რა ამა თუ იმ ფორმას, შესაძლოა, ის მხოლოდ ახლა ღვივდებოდეს, როგორც კოცონი, რათა ამობუგოს არაერთი თაობის სულები, დამჭკნარი ფოთლების მსგავსად. ვაი რომ ბევრი ვერ ნახავს, რით დასრულდება დაპირისპირება, რომელშიც რუსეთს ორი მოკავშირე ჰყავს – არმია და ფლოტი, საქართველოს კი – მხოლოდ ერთი – დრო.

ekhokavkaza

ბათუმში, გმირთა ხეივანში 11-მილიონიანი პროექტის განხორციელება იწყება

ამის შესახებ ინფორმაცია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ 2016 წლის 6 თვის საინვესტიციო მაჩვენებლების პრეზენტაციისას გააჟღერა. როგორც მინისტრმა განმარტა, გმირთა ხეივნისთვის ეს რიგით მეხუთე პროექტი იქნება და მისი განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

„ახლახანს გმირთა ხეივანში ახალი საინვესტიციო პროექტის განხორციელების თაობაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება. ელექტრონული აუქციონით ინვესტორმა ტერიტორია შეიძინა, სადაც ძალიან მალე კიდევ ერთი მაღალი დონის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყება. პროექტით არანაკლებ 10 700 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება“, – აღნიშნა რამაზ ბოლქვაძემ.

მისივე განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს: მინიმუმ 60-ნომრიანი სასტუმროს, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის, გასართობი ცენტრის და 1500 კვ.მ-ზე მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობას. პროექტის დასრულება 2020 წლისთვის იგეგმება.

„გმირთა ხეივანში კონცეფციის ფარგლებში ამ დროისთვის სულ 5 მაღალი დონის სასტუმრო კომპლექსი შენდება. ჯამური საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 51 მლნ აშშ დოლარია“, – აღნიშნა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა.



შეგახსენებთ, რომ გმირთა ხეივნის განვითარების კონცეფციაზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ იმუშავა. ტერიტორიის ფართობია 3 ჰა. დაგეგმარების მიხედვით ხეივანი 14 საინვესტიციო მიწის ნაკვეთად დაიყო, რომლის ათვისება 3 ეტაპად განხორციელდება. კონცეფციის მიხედვით შენობის მაქსიმალური სიმაღლე 140, ხოლო მინიმალური 30 მეტრი განისაზღვრა. ტერიტორიაზე სასტუმროების, აპარტამენტების, რესტორნების, სხვადასხვა გასართობი ობიექტებისა და სპორტული ცენტრების განთავსება იქნება შესაძლებელი. გმირთა ხეივნის განვითარების კონცეფციის მიზანი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ბიზნესის/ტურიზმის ხელშეწყობა,სამუშაო ადგილების შექმნა და ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაა. გმირთა ხეივანში 4 ახალი ინვესტიციის განხორციელება უკვე დაიწყო.

„კუბ თაუერი“, სადაც „SWISS BELHOTEL INTERNATIONAL“-ი უნდა განთავსდეს, ექსპლუატაციაში 2018 წლის თებერვლიდან შევა

აჭარის მთავრობა ინვესტორთან დათმობაზე წავიდა და კომპანია „ADOG-GEORGIA“-ს ვალდებულებების შესრულების პერიოდი გადაუვადა, რომელიც ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე 30-სართულიან „კუბ თაუერს“ აშენებს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, „ADOG 3GEORGIA“ დაკისრებული ჯარიმებისგან, იმ პირობით გაანთავისუფლა, თუ კომპანია ახალ ხელშეკრულებას ზედმიწევნით შეასრულებს.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია რომ ინვესტორებთან მივაღწიოთ მიზანს და არა ის, რომ გვქონდეს მათთან ჯარიმებით ურთიერთობა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია რომ დაიწყოს და განხორციელდეს ყველა ის საინვესტიციო პროექტი, რომელიც აქამდე მიმდინარეობდა და მნიშვნელოვანია, ამ ინვესტიციების შედეგად შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და განვითარდეს რეგიონის ეკონომიკა. ამ ეტაპზე ჩვენ მოგვმართა მხოლოდ ექვსმა ინვესტორმა, თუმცა ამ კუთხით დამატებითი კონსულტაციები მიმდინარეობს სხვადასხვა კომპანიებთან. ჩვენ განვიხილავთ ნებისმიერ შემოთავაზებას ინვესტორების მხრიდან, რადგან მათთან მიმართებაში უნდა ვიყოთ ძალიან ფაქიზები იმიტომ, რომ ეს საკითხი რეგიონისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხია“ – განაცხადა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ.



რუსულმა ენამ აფხაზეთში მშობლიური თითქმის მთლიანად განდევნა!

გავლენიანი ფრანგულ გამოცემა „ლე მონდის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია აფხაზეთის ტურისტული პოტენციალი, ადგილობრივი საკურორტო ინფრასტრუქტურა, რუსი ტურისტების შთაბეჭდილებები, აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობის ასპექტები და სხვა საკითხები (ავტორი - ანაის კუანიაკი).

გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

სტატიაში აღწერილია გაგრის სანატორიუმი „ამრა“ (აფხაზურად — „მზე“, რომელიც ადრე, საბჭოთა ეპოქაში, სკკპ მე-17 ყრილობის სახელობისა იყო). აქ თითქმის ყველაფერი ძველი დროიდანაა შემორჩენილი, ვესტიბიულში ვლადიმირ ლენინის ბიუსტიც კი დგას. ავტორი ესაუბრება რუს ტურისტებს, რომლებსაც ძალიან მოსწონთ აფხაზეთის — „სულების ქვეყნის“ ზღვისა და მთის ჰაერი პალმებისა და სოჭის ჩრდილქვეშ. საერთოდ კი, როგორც ფრანგი ჟურნალისტი აღნიშნავს, „სულების ქვეყნის“ მომხიბვლელობას უსასრულოდ იმეორებენ ტურისტებიც და საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის პირას მდებარე ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაც.

ავტორი ესაუბრება „აფხაზეთის ტურიზმის მინისტრს“ ავთანდილ ღურწკაიას, რომლის თქმითაც, რუსეთის მიერ რესპუბლიკის დამოუკიდებლად აღიარების შემდეგ ტურიზმის სფერო სრული სვლით ვითარდება — 2015 წელს აფხაზეთს 1,5 მილიონი რუსი დამსვენებელი ეწვია, რაც ექვსჯერ მეტია ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობაზე. „გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენ რუსეთის დახმარებით ვცხოვრობდით, მაგრამ უკვე ერთი წელია საკუთარი ეკონომიკის წყალობით ვარსებობთ“, — ამბობს მინისტრი, რომლის კაბინეტიდანაც ქუჩაში ნაგვით სავსე კონტეინერები მოჩანს. აფხაზი ჩინოვნიკი ყველა სტუმარს, რუსი იქნება თუ აფხაზი, ვლადიმირ პუტინის მშობლიურ ენაზე ესაუბრება, თუმცა 2008 წლიდან მოყოლებული პარლამენტისა თუ მთავრობის წევრები ვალდებული არიან იცოდნენ აფხაზურ ენაზე წერა და ლაპარაკი.

კანონის თანახმად, საბავშვო ბაღების თანამშრომლებიც აღსაზრდელებს აფხაზურად უნდა ელაპარაკონ, რაც შემთხვევითი არ არის: რუსულმა ენამ აფხაზეთში ტრადიციული ენა თითქმის მთლიანად გადაფარა — ახალგაზრდა თაობას მშობლიურ ენაზე საუბარი უკვე უჭირს. ეს მომენტი „იმ ქვეყნისათვის“, რომელსაც თავისი ჰიმნი, დროშა და კონსტიტუცია აქვს, რომელსაც ჰყავს „პრეზიდენტი“, „მთავრობა“ და საერთაშორისო აღიარების იმედი აქვს, ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია, რომლის გამოც აფხაზეთს ხშირად რუსეთის დანამატად მიიჩნევენ. ამას ადასტურებს ისიც, რომ აფხაზები საზღვარგარეთ წასვლის დროს რუსული პასპორტებით სარგებლობენ, მათ ავტომობილებს რუსული სანომრე ნიშნები აქვთ, ბრუნვაში რუსული ვალუტაა და პენსიონერებს პენსიას რუსეთის ბიუჯეტი უხდის. გარდა ამისა, რუსეთი აფინანსებს ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციას, საზღვარზე რუსი მესაზღვრეები დგანან და რესპუბლიკის ტერიტორიაზეც რუსული ბაზაა დისლოცირებული — საქართველოს მებრძოლი გზნების გასანეიტრალებლად. „რუსეთი ამგვარი მოქმედებით (აფხაზეთის „დამოუკიდებლად“ აღიარებით) თავისი მადის შენიღბვას ცდილობს“, — ასე თვლიან დასავლელი დამკვირვებლები და მათ ნატოს გენმდივანი ანდერს ფონ რასმუსენიც ეთანხმება.

პუბლიკაციის ავტორთან საუბრისას, რომელიც სოხუმის ცნობილ „ბრეხალოვკაზე“ გაიმართა, აფხაზეთის პარლამენტის წევრი ვალერი ვარჩია უარყოფს, რომ აფხაზეთი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული: **„აფხაზეთი ოკუპირებულიაო — ამის თქმა არ შეიძლება, რადგან რუსეთს დახმარება ჩვენ თვითონ ვთხოვეთ. ამასთან, რადგანაც ჩვენი ქვეყანა ლამაზი და პატარაა, რუსეთის და კიდევ ვიღაცებისა გვეშინია. ჩვენ იძულებულნი ვართ ამ მომენტს ყოველთვის ყურადღება მივაქციოთ და მხედველობაში გვქონდეს“.**

2008 წლის შემდეგ ყველაფერმა, რაც კი საბჭოთა პერიოდიდან მიტოვებული და დაკეტილი იყო, კვლავ კარი გააღო და ტურისტებს ემსახურება. მაგალითად, იოსებ სტალინის აგარაკები.

„რუსეთს ჩვენი მიერთება არ ჭირდება... რომ ნდომოდა, ამას დიდი ხნის წინათ გააკეთებდა“, — ირონიულად ამბობს ტურიზმის მინისტრი ავთანდილ ღურწკაია. იგი სხვადასხვა კურორტების ბროშურებს მაჩვენებს. დღეს ბათქაშჩამონგრეული და ტყვიებით დაცხრილული ისტორიული შენობების ახლოს ახალი, თანამედროვე სასტუმროები და რესტორნები შენდება, რომლებიც რუსული საშუალო კლასისთვისაა განკუთვნილი — მათთვის, ვინც ეგვიპტესა და თურქეთში აღარ დადის, რთული პოლიტიკური ვითარებისა და რუსული ვალუტის კურსის დაცემის გამო. „ტურიზმი ჩვენთან მხოლოდ ბოლო დროს წამოდგა ფეხზე, თუმც, ამის მიუხედავად, ეს დარგი ჩვენი ბიუჯეტის მთავარი შემავსებელი წყაროა. ჯერჯერობით კიდევ უფრო მეტი ტურისტის მისაღებად აუცილებელი ინფრასტრუქტურა არ გვაქვს, მაგრამ მზად ვართ ვიმუშაოთ უცხოელ ინვესტორებთან“.

აფხაზებმა თავიანთი იდენტურობის შენარჩუნება ეროვნული ადათ-წესების ერთგვარი კოდექსის — „აფსუარას“ მეშვეობით მოახერხეს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ადამიანებს შორის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს. „რუსების მენტალიტეტს ჩვენს მენტალიტეტთან არაფერი საერთო არ აქვს“, — ხაზს უსვამს ჩემთან საუბარში გაგრელი ნატა.

„ამ დილით სოხუმში წვიმდა. პლაჟებზე ტურისტები არ ჩანან. ცაში პარაპლანებიც არ დაფრენენ. რესტორანში ვზივართ და უფასო Wi-Fi-თ ვერთობით. ვხედავთ გოგონას, რომელსაც ისეთივე ყვითელი სპორტული მაისური აცვია, რომელიც აქ ყველგან იყიდება: მასზე რუსეთის პრეზიდენტია მეზღვაურის ზოლებიანი პერანგით („ტელნიაშკით“) და პილოტურით. წარწერა „ყველანი ერთი გზით“, — ასე მთავრდება ფრანგულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია.

„LE MONDE“

„ნიუსპრესი“ სპეციალურად „საქ. რესპუბლიკისთვის“.

ცხინვალში იმპორტის „ჩრდილიდან გამოყვანას“ ცდილობენ

ოსი ე.წ. მესაზღვრეები და მებაჟეები, ასევე ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები მთელი კვირის განმავლობაში აკვირდებიან ე.წ. გამარტივებული გაშვების პუნქტის მუშაობას ახალგორის რაიონში. მონიტორინგის ოფიციალური მიზანი ხილისა და ბოსტნეულის მიწოდებების „ჩრდილიდან გამოყვანაა“.

ახალგორის რაიონის სოფელ რაზდახანში მდებარე ეს პუნქტი ერთადერთია, საიდანაც ადგილობრივებს საქართველოში მოხვედრა შეუძლიათ. ოფიციალური ინფორმაციით, დღის განმავლობაში დე ფაქტო საზღვარს 1000-მდე ადამიანი კვეთს და საქართველოდან 200 ტონამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეაქვს.

დილიდან დე ფაქტო საზღვარზე საცობია: მძღოლები თავის რიგს მთელი დღის განმავლობაში ელოდნენ. რამდენიმე დღის წინათ მოვაჭრეებისთვის მეორე ხაზი გახსნეს, რათა მოძრაობა შეემსუბუქებინათ.

ადგილობრივი კანონის თანახმად, ერთ მგზავრს მაქსიმუმ, 50 კგ ხელბარგის გატანა შეუძლია. როგორც რუსი მესაზღვრეები განმარტავენ, ასე უფრო იოლია ბარგის შემოწმება. ახალგორელმა მოვაჭრეებმა არსებულ წესებს აუბეს ფეხი: ისინი თავის საქონელს ნეიტრალურ ტერიტორიაზე ყოფენ და რაიონში ნაწილ-ნაწილ შეაქვთ. როგორც წესი, ისინი ადგილობრივ მაცხოვრებლებს უთანხმდებიან, რათა რეგისტრაციის დროს მათ სახელზე 50 კგ ბარგი იყოს რეგისტრირებული. დღეში ბოსტნეულის მაღაზიების მფლობელებს მინიმუმ, 10 ადამიანის დაქირავება შეუძლიათ. თითოეულ „გადამზიდველს“ 10 ლარს უხდიან. ახალგორელებს ეს „სამსახური“ ახარებთ და ყოველდღიურად, ადრე დილით დე ფაქტო საზღვრისკენ მიემართებიან.

ხილისა და ბოსტნეულის ფასი ახალგორში ორჯერ მაღალია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ცხინვალელი მოვაჭრეები საქონელს ახალგორელებისგან ყიდულობენ და შემდეგ ადგილზე კიდევ უფრო ძვირად ყიდიან.

ვის და რანაირად „პარსავენ“ ახალგორის „საზღვარზე“

მაღალ ფასებს ბევრი ცხინვალელი უჩივის. მათ იმედი აქვთ, რომ დე ფაქტო მთავრობა შეძლებს ფასების დარეგულირებას.

53 წლის ცხინვალელი ვალერი ბესტაევი ადგილობრივ ბაზარზე პროდუქტის ყიდვისას გაღიზიანებას ვერ მალავს:

„აქ ისეთი საშინელი ფასებია, გაგიჟება შეიძლება! როგორ უნდა ღირდეს სეზონზე ხილი და ბოსტნეული ასე ძვირი?! ვაშლი მინიმუმ, 100 რუბლი ღირს, არადა, ვაშლის მხარეში ვცხოვრობთ! მოვაჭრეები თავს იმით იმართლებენ, რომ პროდუქტი საქართველოდან შემოაქვთ. არადა, ყველამ იცის, რომ საქართველოში იგი ბევრად იაფია. თუ ასეთი რთულია პროდუქტის გადმოტანა, საერთოდ რა საჭიროა იგი?“.

ნადია ნ. ცხინვალში სამ თვეზე ნაკლებია, ვაჭრობს, ბოსტნეულის პატარა მაღაზია აქვს. ამბობს, რომ საზღვრო ხარჯების დაფარვა სამომხმარებლო ფასების ხარჯზე უწევს:

„საქართველოში, ბუნებრივია, ყველაფერი უფრო იაფია. პომიდორი (ვარდისფერი) იქ 30-40 რუბლი ღირს, აქ კი - 80. როდესაც აქ საქართველოდან ხილი და ბოსტნეული შემოაქვთ, 30 ათასს იხდიან კამა-ში. ჰოდა, გამოდის კიდეც ასეთი თანხა. საქართველოში ლენინგორიდან (ახალგორიდან) გავდივართ. იქ საზღვარია. და აი, ამ საზღვარზე ისე „გვპარსავენ“, როგორც შეუძლიათ“.

საინტერესოა, რომ იმპორტირებულზე არანაკლებ ძვირია თავად ოსი ფერმერების მიერ მოყვანილი პროდუქციაც, რომელიც ძირითადად ცხინვალისა და ზნაურის რაიონებიდან შეაქვთ და ან პირდაპირ ქუჩებში, ან ქალაქის მცირე ბაზარში ყიდიან. ოსი ფერმერები სიძვირეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოსავლის სიმცირით ხსნიან.

„მოვაჭრეები ამბობენ, რომ ეს ადგილობრივი პროდუქციაა, რომელშიც არანაირი ნიტრატები, არანაირი ქიმიკატები არ არის — „ამიტომაა ასე ძვირიო“. რა განმარტებაა ეს?“ — ამბობს ვალერი ბესტაევი.

ოფიციალური გადასახადი დე ფაქტო საზღვარზე ჯერჯერობით არ არის. თუმცა ეს მდგომარეობა შესაძლოა, შეიცვალოს. 17 აგვისტოს ახალგორი დე ფაქტო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კოზაევმა მოინახულა, რომელმაც იმპორტის „ჩრდილიდან გამოყვანის“ აუცილებლობაზე ისაუბრა. როგორც კოზაევმა აღნიშნა, „რესპუბლიკა ბიუჯეტის შევსების შესაძლებლობის იგნორირებას ვერ მოახდენს“ და კონკრეტული ნაბიჯები მონიტორინგის შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი (AMMAR)

საქართველოს მთავრობამ მიიღო, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის (AMMAR) ფარგლებში იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი დავალების შესასრულებლად:

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბეთლემი, უშაფათი და ძველ სენაკში და მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებში ნაგვაზაო, აბედათი და ჯოლევში შიდა სასოფლო გზებისა და ხიდების მოწყობა/რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება

საქართველოს სოფლის მეურნოების სამინისტროს ამჟამად განზრახული აქვს საკონსულტაციო კომპანიის (მას შემდგომ ეწოდება <u>კონსულტანტი)</u> დაქირავება **სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბეთლემი, უშაფათი და ძველ სენაკში და მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებ ნაგვაზაო, აბედათი და ჯოლევში შემდეგი შიდა სასოფლო <u>გზებისა და ხიდების მოწყობა/ რეაბილიტაციის</u>** დეტალური პროექტის მოსამზადებლად:

1. **„სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბეთლემსა და უშაფათში შიდა სასოფლო გზებისა და ხიდის მოწყობა/რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება“**. ხიდის სიგრძე შეადგენს 6 მეტრს, ხოლო გზის სიგრძე 3 კმ-დეა.
2. **„სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ სენაკში შიდა სასოფლო გზებისა და ხიდის მოწყობა/ რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება“**. ხიდის სიგრძე შეადგენს 10 მეტრს, ხოლო გზის სიგრძე 1.5 კმ-დეა.
3. **„მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებ აბედათსა და ჟოლევში შიდა სასოფლო გზებისა და ხიდების მოწყობა/რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება“**. ხიდების სიგრძე შეადგენს 6 და 10 მეტრს, ხოლო გზის სიგრძე 200 მ-დეა.
4. **„მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგვაზაოში ხიდის მოწყობა/რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება“**. ხიდის სიგრძე შეადგენს 20 მეტრს.

დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა დამუშავდეს ერთ ეტაპად. საპროექტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს არსებული და ახალი საძიებო-კვლევითი მასალების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

დეტალური საინჟინრო პროექტის დამუშავება უნდა ითვალისწინებდეს:

- არსებული სიტუაციის აღწერას ფოტომასალების წარმოდგენით და ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციას.
- გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.
- დეტალური პროექტი უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 24.03.2009-ის №57 დადგენილების “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საინებართვო პირობების შესახებ“ გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო და შესაბამის ეროვნულ სტანდარტებს, საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.
- კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს:
- ხიდების გამოკვლევა-გამოცდის ჩატარება მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით და საჭირო ღონისძიებების ჩასატარებლად ნაგებობების მზიდუნარიანობის შესანარჩუნებლად, ხოლო საჭირო შემთხვევაში – ტვირთამწეობისა და გამტარუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობის განსაზღვრისათვის;
- კონსტრუქციების გამოკვლევების შედეგად აღმოჩენილი დეფექტებისა და დაზიანებების შეფასება მათი ნაგებობის მდგრადობაზე, ხანმედეგობასა და საექსპლოატაციო თვისებებზე ზემოქმედების თვალსაზრისით;
- ხიდების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა-გამოკვლევის შემდგომ ჩასატარებელი ღონისძიებების კონკრეტული ჩამონათვალის წარმოდგენა.
- სამუშაოების წარმართვის ძირითადი მიმართულებები:
- ხიდების ვიზუალური დათვალიერება და ინსტრუმენტალური აზომვები;
- ნაგებობების (მალის ნაშენის, ბურჯების და რეგულაციების) დეტალური დათვალიერება, დეფექტების და გაუმართაობის სპეციალურ ჟურნალში ასახვა, არსებული მდგომარეობის შექმნის მიზეზების დადგენა;
- გეოდეზიური ინსტრუმენტების საშუალებით ნაგებობის მდგომარეობისა და სავალი ნაწილის პროფილის დადგენა;
- შემოწმების და გამოცდის მასალებზე დაყრდნობით ხიდის მზიდუნარიანობის დადგენა, რეკომენდაციების შემუშავება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფოლადის კონსტრუქციების არსებულ მდგომარეობას, ტვირთამწეობის დადგენას სათანადო ღონისძიებების შემუშავებას მათი სიცოცხლის უნარიანობის გაზრდის მიზნით.

- გასაწევი მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მიმწოდებელი ვალდებულია:

არსებული ნაგებობების კონსტრუქციებიდან აღებული ნიმუშები საჭირო შემთხვევაში გამოცადოს სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში.

დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა მოიცავდეს:

- განმარტებით ბარათს, ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის მასალებს, დეტალურ სამშენებლო ნახაზებსა და სპეციფიკაციებს;
- ხარჯებისა და სარგებლის ანალიზს (Cost Benefit Analysis);
- სამშენებლო-სატენდერო დოკუმენტაციასა და ტექნიკურ სპეციფიკაციებს;
- სამუშაოთა მოცულობების, სამშენებლო მასალების, ტექნიკის და მუშახელის რაოდენობის ცხრილებს;
- კონფიდენციალურ ხარჯთაღრიცხვებსა და სატენდერო დოკუმენტაციას;

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს და მშენებლობის კალენდარულ გეგმას;

მომსახურების ხარნგრძლივობაა 1,5 თვე.

ფირმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. ზოგადი გამოცდილება: გამოცდილება დეტალური პროექტების მომზადებაში;

2. სპეციფიური გამოცდილება: გზებისა და ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაციის სულ მცირე 5 დეტალური პროექტის მომზადების გამოცდილება.

გუნდის შემადგენლობა

- დეტალური პროექტის მოსამზადებლად საჭირო იქნება ექსპერტების გუნდის შემდეგი სავარაუდო შემადგენლობა:
- ინჟინერ-მშენებელი (მეგზევე ან ხიდების სპეციალისტი) - ჯგუფის ხელმძღვანელი
- მეგზევე-ინჟინერი - 1 სპეციალისტი
- ხიდების სპეციალისტი - ინჟინერი - 1 სპეციალისტი
- ეკონომისტი/ფინანსური ანალიტიკოსი - 1 სპეციალისტი
- ინჟინერ/კონსტრუქტორი - 1 სპეციალისტი
- ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი - 1 სპეციალისტი
- გეოლოგი - 1 სპეციალისტი
- ტოპოგრაფი - 1 სპეციალისტი

მშენებლობის ორგანიზაციის სპეციალისტი - 1 სპეციალისტი

სამუშაო გუნდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და 10 წლის მუშაობის გამოცდილება ხიდებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტირებაში, ჯგუფის მუშაობის კოორდინაციაში და ანგარიშგებაში.

სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მინიმუმ 5 წლის პროფესიული გამოცდილება ქვემოთ განსაზღვრულ ტექნიკურ სფეროებში.

სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი გამოცდილება:

ხიდების/გზების ინჟინერი- ჯგუფის ხელმძღვანელი

- უმაღლესი განათლება ხიდებისა და გზების სფეროში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილებით მცირე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის (მაგ. გზები, ხიდები) პროექტირება-მშენებლობაში. სასურველია განვითარების პროექტებში/უწყებებში/ინსტიტუტებში მუშაობის გამოცდილება;
- პროექტებში მულტიდისციპლინარული გუნდის ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურის დაგეგმვის, პროექტირების და ხარჯთაღრიცხვების შედგენის ცოდნის ჩათვლით;
- საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების საფუძვლიანი ცოდნა;
- მიმდინარე საბაზრო ფასების საფუძველზე საინჟინრო ხარჯთაღრიცხვების მომზადების გამოცდილება;
- ანალიტიკური და ადამიანებთან ურთიერთობის გამოკვეთილი უნარი, სტრატეგიული აზროვნების და მოქმედების, რამდენიმე ამოცანის ერთდროულად შესრულების და სამუშაოს სათანადო ვადებში შესრულების უნარები;
- კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა;
- ანგარიშგების ჩინებული უნარი.

დამატებით საჭირო ექსპერტები: დამატებით ექსპერტებს, რომლებიც, კონსულტანტის აზრით, შეიძლება საჭირო გახდეს, უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.

ტექნიკური დახმარების პერსონალი: ტექნიკური დახმარების პერსონალი, კვლევის ასისტენტები და სხვა ამგვარი თანამშრომლები კომპეტენტური უნდა იყვნენ თავის საქმეში, ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

კონსულტანტი შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

კითხვებისთვის და ინტერესის გამოსახატავად მოგვმართეთ წერილობით ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართებზე. ინტერესის გამოხატვის წერილს უნდა თან ერთოდეს შემდეგი ინფორმაცია:

(ა) მოკლე ინფორმაცია ფირმის შესახებ;

(ბ) ფირმის მიერ განხორციელებული პროექტების სია (პროექტის მოკლე აღწერილობის, განხორციელების ვადების, დამკვეთისა და ღირებულების მითითებით);

(გ) შემოთავაზებული პერსონალის სია და პერსონალის კვალიფიკაციის აღწერილობები (CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთან უნდა წარმოადგინოთ **2016 წლის 12 სექტემბრის 12 საათამდე** შემდეგ მისამართზე/ელ-ფოსტაზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995-32-237-80-38
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: nana.kupunia@moa.gov.ge

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის 17 ოქტომბერს, 14 საათზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქალაქი მარტვილი, თავისუფლების ქუჩა №10), გაიმართება მდინარე ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მეორე საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მდინარე ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის განხორციელება.

- საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- კომპანიის ოფისში, მისამართი: 0194. ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №27/ბ, მე–6 სართული, ტელეფონი: 0(32)2244104.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: 3100, ქალაქი მარტვილი, თავისუფლების ქუჩა №10, ტელეფონი: 0(418)220060; მობ: 577959193

დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

www.moe.gov.ge
www.phazisigroup.com
www.martvili.ge-ს

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2016 წლის 13 ოქტომბერს, 14⁰⁰ საათამდე.

კომპანია „ტეხური ენერჯის“ ადმინისტრაცია

◎ წინ, საქართველო!

ნინო ხომერიკი ევროპის ჩემპიონია

პრაღაში დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც 24 ქართველიც მონაწილეობდა. მათგან მხოლოდ 18-წლამდელებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ნინო ხომერიკმა იყოჩაღა — ტიტული შეინარჩუნა. ქართველმა მოჭადრაკემ პირველი ტურიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ფინიშამდე შეინარჩუნა. ბოლო ტურში იგი რუს ირინა დროგოვოზს დაუზავდა, ცხრა შესაძლებლობიდან 7.5 ქულას მოუყარა თავი და სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. სამწუხაროდ, ჩვენებურთაგან მედალი სხვამ ვერავინ მოიპოვა, თუმცა, 12-წლამდელებში მიზანთან ახლოს იყო ნიკოლოზ კაჭარავა, რომელმაც შვიდი ქულით მესამე-მეცხრე ადგილები გაიყო, დამატებითი მაჩვენებლებით კი მე-6 ადგილი ერგო. რომ არა მე-8 ტურში დასანანი მარცხი მამიკონ ღარიბიანთან (სომხეთი), საბოლოო შედეგიც სხვაგვარი იქნებოდა.

აქვე ევროპის პირველობაზე ჩვენებურთა საბოლოო შედეგებსაც გაგაცნობთ:

8-წლამდელები: 25. ანა შერაზადიშვილი (5 ქულა), 47. დავით ნემსაძე (4.5), 52. ნიკოლოზ შამათავა (4.5). 10-წლამდელები: 31. ანა მამარდაშვილი (5), 54. ბარბარე ცირეკიძე (4.5); 38. ერეკლე ჯიშკარიანი (5.5), 94. დავით გოცირიძე (4), 106. ვასიკო შაპოვალოვი (3,5). 12-წლამდელები. 35. დიანა ლომაია (5), 50. ნია დოღვანი (4.5); 6. ნიკოლოზ კაჭარავა (7), 49. ნიკა კევლიშვილი (5). 14-წლამდელები: 10. თამარ ესაძე (6.5), 22. ეკატერინე ფიფია (5.5), 54. თამარ ლაგაზაური (4.5), 75. ანასტასია სიდამონიძე (3.5); 32. ნიკოლოზ პეტრიაშვილი (5.5), 60. ლუკა ობოლაძე (4.5). 16-წლამდელები: 23. ნატა ჯიბუტი (5.5), 32. ლილე ქორიძე (5); 40. ირაკლი ახვლედიანი (5). 18-წლამდელები: 1. ნინო ხომერიკი (7.5), 28. ანი ჭანტურია (4.5); 18. ნოე თუთისანი (5.5).

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

საპატიო მეორეზე

მინსკში გამართული ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) წყვილთა პაექრობაში თბილისელი გიორგი ცივაძე თურქ ანილ იუკსელთან ერთად იგი მე-4 ნომრად იყო განთესილი. ქართულ-თურქულმა დუეტმა ნახევარფინალში მეორე ნომრად განთესილ მარატ დევიატიაროვსა (უკრაინა) და ვლასკო მლადენოვს (ბულგარეთი) მოუგო — 6:3, 6:4, მაგრამ გადამწყვეტ პაექრობაში ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტ ბრიტანელებთან — სკოთ კლეიტონსა და ჯონი ომარასთან დამარცხდა — 4:6, 6:3, 11:13 და მეორე ადგილს დასჯერდა.



გივი გაგუა

◎ კალათბურთი

პოლონეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ვარჯიში განაახლა

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პირველად ივარჯიშა. ილიას ზუროსის გუნდმა პოლონეთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მოსამზადებელი ბოლო მატჩები გამართა — შვედეთთან და პოლონეთთან დამარცხდა. შესაბამისად, საქართველომ საწვრთნელი შეხვედრები თანაბარი ბალანსით დაასრულა - 4 მოიგო და 4 წააგო.

თბილისში 27 აგვისტოს, გამთენიისას ჩამოსულმა ნაკრების წევრებმა დასვენების შემდეგ სპორტის სასახლეში საფუძვლიანი ვარჯიში გამართეს. ილიას ზუროსმა ნაკრების წევრები ჯერ „სნეპ-ფიტნესში“, ტრენაჟორებზე დატვირთა, შემდეგ კი გუნდი სპორტის სასახლეში გაემართა და თითქმის ორი საათი ივარჯიშა.

რაც შეეხება ტრავმირებულებს, თორნიკე შენგელიამ გუნდთან ერთად ტრენაჟორებზე სრული დატვირთვით ივარჯიშა, თუმცა, ბურთით ნაკლებად დაიტვირთა. შენგელიამ სროლებში და რამდენიმე კომბინაციაში ივარჯიშა, თუმცა, ორმხრივი თამაშისას ის მოედანზე არ იმყოფებოდა. თორნიკეს არაფერი აწუხებს, უბრალოდ მწვრთნელები მის დატვირთვას ერიდებიან.

პოლონეთში, შვედეთთან მატჩში ტრავმირებული მაიკლ დიქსონი მომჯობინდა. დიაგნოსტიკამ მის მუხლში უარყოფითი ვერაფერი აჩვენა. ამერიკელ უკანახაზელს დაჭიმულობა აქვს და გუშინ მან ექიმის მეთვალყურეობით მსუბუქად ივარჯიშა. თემურ ხვედელიძემ მას სპეციალური ვარჯიშები გააკეთებინა, რის შემდეგაც დიქსონმა მიზანიც მოსინჯა და სროლები შეასრულა.

სხვა მხრივ, ნაკრებში ყველაფერი წესრიგშია. ბიჭები დიდი მონდომებით ვარჯიშობენ და ალბანეთთან პირველი ოფიციალური მატჩისთვის გულიანად ემზადებიან. მოახლოებულ შეხვედრაში შენგელიას და დიქსონის თამაშის საკითხი ჯერჯერობით საბოლოოდ არ გარკვეულა, თუმცა, დიდი ალბათობით, ორივე გავა მოედანზე, ოღონდ შეზღუდული დროით.

საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებთა მატჩი ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში 19 საათზე დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭორ-მართალი

ბიძინა ბარათაშვილი:

„დინამოს“ გენერალურ დირექტორად ჩემი დანიშვნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება“

ბიძინა ბარათაშვილმა თბილისის „დინამოს“ გენერალური დირექტორის პოსტზე მისი დანიშვნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. პირად ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ ეს ცნობა რეალობას არ შეესაბამება და მას ბოლო პერიოდში „დინამოს“ მფლობელ რომან ფიფიასთან კონტაქტი არ ჰქონია:

„2 დღეა ინტერნეტ-სივრცეში და ახლა უკვე პრესაშიც ვრცელდება ინფორმაცია ჩემი თბილისის „დინამოს“ გენერალურ დირექტორად სავარაუდო დანიშვნის შესახებ. ბევრმა თქვენთაგანმა პირადადაც კი მომილოცა ახალი სამსახური.

დიდი მადლობა ყველას, მაგრამ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება რეალობას. მთელი აგვისტო მე ჯერ რიოს ოლიმპიურ თამაშებზე გავატარე, შემდგომ კი არგენტინასა და ურუგვაიში გახლდით კერძო საქმიანი ვიზიტით. თბილისში 26 აგვისტოს დავბრუნდი 72-საათიანი უწყვეტი, მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ...

ამ ხნის მანძილზე არანაირი კონტაქტი არ მქონია თბილისის „დინამოს“ მფლობელ ბატონ რომან ფიფიასთან, რომელთანაც წლებია თბილი, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და არც კლუბის სხვა ოფიციალურ პირებთან მისაუბრია.

ვერ გეტყვით, საიდან გაჩნდა ამგვარი ინფორმაცია, რადგან მე არც ჩემი კოლეგებიდან შემხმიანებია ვინმე დეტალების გასარკვევად!

აქამდე ტელეფონით ვპასუხობდი დაინტერესებულთა კითხვებს, მაგრამ გუშინ უკვე „ლელოშიც“ დაიბეჭდა ცნობა და გადავწყვიტე საჯარო განცხადების გაკეთება.

ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იყო და იქნება თბილისის „დინამოს“ ცხოვრებაში ჩართულობა, მაგრამ სადღეისოდ მე უკვე მეშვიდე წელია „სილკ TV-ს“ ერთ-ერთი არხის გენერალურ პროდიუსერად ვმუშაობ და პარალელურად საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებ.

ასე რომ, ამ ეტაპზე ახალ სამსახურს არც ვეძებ და არც ამ საკითხზე რაიმე მოლაპარაკებაში ვარ ჩაბმული!“ — აღნიშნულია ბიძინა ბარათაშვილის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

გიორგი ზოთაძე

◎ კრედო

ჯო მარლერი:

„მხოლოდ ფულისთვის არ უნდა ითამაშო“

ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და „არლეკინზის“ ბურჯმა ჯო მარლერმა იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც ივნისში ავსტრალიური ტურნე გამოტოვა.

„ერთ-ერთი ვარჯიშიდან ვბრუნდებოდი, როდესაც საკუთარი თავი გამოვიჭირე ფიქრში, რომ იქ ყოფნა არ მინდოდა. ამის შესახებ ედი ჯონსს ვუთხარი და მას ნორმალური რეაქცია ჰქონდა თანაც წარმატებები მისურვა. თავადაც არ ვისურვებდი მოედანზე ისეთ მოთამაშესთან ერთად გასვლას, რომელიც მხოლოდ ხელფასზე ფიქრობს. ვფიქრობდი, რა რეაქცია მექნებოდა, ჯერ კიდევ ბავშვობისას რომ დამენახა ჩემი გმირი, რომელიც თავგანწირვის, თვალებში ცეცხლის გარეშე, უბრალოდ ასრულებდა თავის მოვალეობას და გადაწყვეტილებაც იმავე წამს მივიღე“ — ამბობს 26 წლის მორაგბე, რომელიც გამორჩეულია უდისციპლინობით, თუმცა, ჯოს დასვენებისას ამაზეც ბევრი უფიქრია:

„მთელი შვებულება ვფიქრობდი, თუ რა მემართებოდა. ვცდილობდი ყველაფრის შეფასებას, დასკვნების გამოტანას. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და, დარწმუნებული ვარ, ვინმემ პირველსავე ტურში სახეში ხელი რომც გამარტყას, თავის შეკავებას და მრისხანებასთან გამკლავებას შევძლებ“.

მარლერმა 2009 წლიდან დღემდე „არლეკინზის“ მაისურით 131 თამაში ჩაატარა და 6 ლელო დადო. 2012 წლიდან დღემდე მის ანგარიშზე 42 სანაკრებო კეპია.



კობა კობახიძე

ისტორიის ნამცვრევები

„სამეული“ – მძიმე მემკვიდრეობა

ამ ბოლო ხანს გახსნილი სუკის არქივების მასალების საფუძველზე შეიძლება თქმა, რომ XX საუკუნის 30-40 წლებში რეპრესირებულთა შორის ბევრი ნამდვილად იყო დამნაშვე – ტერაქტების, შეიარაღებული გამოსვლების, საბოტაჟის მონაწილენი. მაგრამ, სამწუხაროდ, უდანაშაულონიც უხვად მოყვნენ ხორცსაკეპში. ოღონდ მათი ტრაგედია ვერ იძლევა პასუხს შეკითხვაზე: რომელ დროში, ვისი მმართველობის დროს არ იყვნენ უდანაშულოდ დასჯილნი? 30-40-იან წლებში უფრო მეტნი იყვნენ ისინი თუ წმინდანად შერაცხილი მეფის ნიკოლოზ II-ის დროს, რომელმაც შემოიღო ყბადაღებული საველე-სამხედრო სასამართლოები – ე. წ. „სამეულები“ („ტროიკები“), ანუ სასამართლოები სამი კაცის შემადგენლობით, რომლებმაც მაშინ ყოვლად გაუმართლებლად ასობით ადამიანი დასაჯეს სიკვდილით? თანაც ასეთი განაჩენები ზოგჯერ ორ-სამ საათში გამოჰქონდათ!

მაგრამ, მიუხედავად ყველაფერისა, ამ „სამეულების“ საშუალებით მეფის რუსეთმა შეძლო 1905-1907 წლების, პირველი რევოლუციის ჩახშობა.

ასეთივე მკაცრი, რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო ნიკოლოზ II-მ 1917 წელსაც: რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად: მან მსოფლიო ომის ფრონტებიდან რევოლუციურ პეტროგრადში ჯარების გადასროლა ბრძანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბრძანება არ შესრულდა, რასაც საშინელი შედეგი მოჰყვა – მეფის ხელისუფლების დამხობა.

„სამეულები“, როგორც არასასამართლო განხილვის ფორმა, „შეიარაღებაში აიღო“ სტალინმაც. ოღონდ ამ არასასამართლო ორგანოს შემოღების ინიციატორი ის არ ყოფილა, რუსეთის კომპარტიის (ბ) დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი რობერტ ინდრიკის ძე ეიხე გახლდათ. მან შეძლო დაერწმუნებინა სტალინი, რომ მხარეში (დასავლეთ ციმბირში) ჩამოყალიბებული (აღდგენილი) „სამეულებისთვის“ სიკვდილის განაჩენის გამოტანის უფლება დაერთო. სტალინი დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს ძალიან ფრთხილად უპასუხა: „თუ შეგიძლიათ, უმჯობესია „სამეულების“ გარეშე იმოქმედოთ, განაჩენების დამტკიცება კი ჩვეულებრივი წესითაც შეიძლება“.

და მაინც „სამეულები“ თანდათან დამკვიდრდა. ეს ისტორიული ფაქტია, ისევე, როგორც ივანე მრისხანის ოპრიჩნინა, პეტრე პირველის საწამებელი ციხეები (პეტრე პირველის „გარდაქმნათა“ შედეგად ქვეყნის მოსახლეობა 20 პროცენტით შემცირდა) და რომანოვი მეფეების საგამოძიებო განყოფილებები...

„სამეული“ უსამართლობის ფუძემდებელ ჩეკისტურ სასამართლოდ იქცა, მაგრამ რა ხვითოსაც წარმოადგენდა იგი, აქამდეც კარგად იცოდა მკითხველმა, აქ მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ახლახან მოსკოვში გამოცემული ავტორ-შემდგენლის პ. დოროხინის წიგნი „სტალინი და ეკლესია“ გვაცნობს ბევრისთვის უცნობ ფაქტს, რომ „სამეული“ საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო წინა რეჟიმისგან... მეფის ხელისუფლებისგან.

ერთიც, როგორც ცნობილია, რეპრესიები ოქტომბრის რევოლუციისთანავე დაიწყო. მაგრამ დაიწყო არა „სტალინის მითითებით“, როგორც ხშირად წერენ, არამედ ვ. ლენინის თაოსნობით! სახკომსაბჭოს 1917 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით კონტრრევოლუციასა და საბოტაჟთან საბრძოლველად სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ვჩკ) შექმნის შესახებ. სწორედ ჩეკა წარმართავდა სასტიკ „კლასობრივ“ ბრძოლას.

ერთი – თხისკენ, მეორე – მგლისკენ! სტალინი უბრალოდ ვერ იქნებოდა რეპრესიების თაოსანი. ის ამ დროს სასურსათო საქმეს ხელმძღვანელობდა სამხრეთ რუსეთში. მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს, შემდეგ კი – სამხრეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს. აი, როცა სტალინი რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა, ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეშივე გაილაშქრა ლენინის რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ: მაგალითად, 1923 წელს მთელი ქვეყნის ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაუგზავნა ცირკულარული წერილი: „რელიგიური ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ“. რითაც შეაჩერა ეკლესიის მასობრივი რბევა და დაიწყო სამღვდელოების რეაბილიტაცია.

ამდენად, ნუ ავკიდებთ სტალინს ზედმეტ ცოდვებს, თავისიც ეყოფა. თუმცა, როგორც ხედავთ, ბოლო ხანს მას ამისგანაც საკმაოდ აქტიურად ათავისუფლებენ რუსი ავტორები. ამის მაგალითია ზემოთ დასახელებული პ. დოროხინის წიგნი.

სანდრო ალექსიძე

სულთათანა

ჟურნალისტური საძოს დიდი დანაკლისი

96 წლის ასაკში გარდაიცვალა უხუცესი ქართველი ჟურნალისტი, ქართული მედიის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ჟურნალისტთა თაობების აღმზრდელი და მოამაგე, მრავალი კარგი ქართული საქმის წამომწყები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი პავლე კოხრეიძე.

დაიბადა 1921 წელს ქ. წულუკიძეში. საშუალო განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ომმა სტუდენტობა არ დააცალა. 1941 წლის აგვისტოში ომში გაიწვიეს. მონაწილეობდა ხარკოვთან, კურსკთან, სტალინგრადთან, როსტოვთან, კიევთან, ჟიტომირთან, ლოძთან გამართულ ბრძოლებში, კაპიტნობამდე მიაღწია მე-13 გვარდიული დივიზიის საარტილერიო პოლკის ქვემეხის, ოცეულის, ბატარეის მეთაურმა.

მძიმედ დაიჭრა და 1945 წლის დამდეგს დემობილიზაციით დაბრუნდა სამშობლოში და იმ საქმეში ჩაება, რომელიც გულით უყვარდა. ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. ახლაც, ფრონტიდან დაბრუნებულმა მშობლიურ რაიონში დაიწყო მუშაობა გაზეთ „დამკვრელის“ პასუხისმგებელ მდივნად და შეთავსებით – გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად.

1946 წლის შემოდგომაზე საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. დანიშნეს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტერატურულ თანამშრომლად, შემდეგ – მუშა ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, რედაქტორის მოადგილედ. მალე პარტიულ პრესაში დააწინაურეს: 1950-1953 წლებში მუშაობდა ბათუმში საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად, 1953-1954 წ.წ. კვლავ თბილისშია, გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ.

1954-1957 წლებში სწავლობდა მოსკოვში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც დაბრუნდა „კომუნისტის“ პასუხისმგებელ მდივნად. 1957 წლის დამლევს გადაიყვანეს ახალდაარსებულ გაზეთ „თბილისში“ რედაქტორის მოადგილედ, სადაც 1974 წლამდე დაჰყო.

ბატონი პავლე „თბილისის“ ერთ-ერთი დამაარსებელია. ამ პროფილისა და დანიშნულების გაზეთის გამოცემა იმ დროისთვის ახალი ხილი იყო, რაც ახალფეხადგმული კოლექტივისგან დიდ შრომას, გამოცდილებასა და შემოქმედებით ძიებას მოითხოვდა. მოკლე დროში „თბილისი“ ქართული ჟურნალისტიკის მეწინავეთა რიგებში ჩადგა. ბატონმა პავლემ გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა კოლეგების ძლიერი ბირთვი და დაუღალავად იღვწოდა მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და პროფესიული დაოსტატებისთვის. 17 წლის შემდეგ ჟურნალისტური საქმიანობა განაგრძო ჟურნალ „საქართველოს კომუნისტში“ ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობის დროს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს მრავალი საპრობლემო პუბლიცისტური წერილი. გამოსცა წიგნი – რესპუბლიკაში პირველი მონოგრაფია „თავისუფლების კუნძულზე“: „კუბა: პირველი იანვრის განთიადი“. მოამზადა და გამოსცა ფრანგი მოგზაურის მარკიზ დე კიუსტინის „ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი“.

პავლე კოხრეიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართველ ჟურნალისტთა დიდი ოჯახისთვის. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უმუშავია.

გაზეთ „თბილისის“
ყოფილი თანამშრომლები

სანთელი

მიხეილ (დიდიკო) სიორდია – 80

დღეს პირველ სექტემბერს შენი დაბადების დღის 80 წლისთავია და მთელი შენი სანათესაო თუ სამეგობრო გულაჩუყებული ვიხსენებთ შენს მიერ ვაჟკაცურად განვლილ ცხოვრებისეულ გზას. ბევრი კარგი და ლამაზი დღეები გავიხსენეთ შენთან ერთად გატარებული, რომელიც დღემდე მართლაც და წარუშლელია ჩვენს მეხსიერებაში. განსაკუთრებით კი შენი შვიდი და-ძმისთვის, შენი ეკასთვის და მთელი ტექნიკური ინტელიგენციის წრეებისთვის, ვისთანაც ერთად იშრომე, იღვაწე და მთელი შენი ენერგია სიყვარულის და მეგობრობის იდილიაში გაატარე, ახლა უფრო გაბედულად ვაცხადებთ, რომ კეთილშობილი, ნიჭიერი და დიდებული პიროვნება იყავი და ამიტომაც დაუვიწყარი იქნები ჩვენთვის აწ და მარადის.

შენი ყრმობის მეგობარი
ალეკო კაკულია

განცხადება

2016 წლის 21 ოქტომბერს 14 საათზე, თვითმმართველი ქ. ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12), გაიმართება შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ საქართველო“-ს ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ნავსადგურის ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გაუმჯობესებული ტექნოლოგიების დანერგვა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ საქართველო“-ს ოფისში– ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52;
- თვითმმართველი ქ. ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12);
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედ
საქართველო“-ს ადმინისტრაცია

◎ კაკალ გულში

ნატა ფერაძე - მუხლჩაუხრელი ბოზი

● იმ ჩემს მეგობრებს მინდა ვუთხრა, ვინც ნატა ფერაძის თბილისელობაზე „საუბრობდა“ და ვინც ჩვენი შვილების ჟანგბადის შენარჩუნებისთვის „მუხლჩაუხრელ ბოზს“ მატროსოვივით ეფარებოდა:

იმ თბილისელებს და აქ მცხოვრებლებს რა ვუთხარი, ვინც ნატა ფერაძის ჟანგბადს თავის შვილებს ასუნთქებს!!!

თბილისში დაბადებულებს კიდე ზემოდან „რა ვუთხარი“, ვინც ნატა ფერაძეს თბილისელად თვლის მარტო იმიტომ, რომ ქალაქ თბილისის რომელიღაც სამშობიაროში დაიბადა!!!

● „ჰეროკრატია“ ძველშუმერული სიტყვაა და ქართულად კუბოზე ბოლო ლურსმანს ნიშნავს.

● ცუდი ხელისუფლება იმ კარგი მოქალაქეების არჩეულია, რომლებიც არჩევნებზე არ დადიან.

● ამ მაზალო სახელებს: „თავისუფალი დემოკრატები“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ – „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ და აშშ... – ყველას, პარტიის სახელებით მოვაჭრე შოთა მალაშხია იგონებს თუ კონკურენტებიც ჰყავს?

● ისეთი პირი უჩანს, ეს „მაიმუნო-ვირიშვილო“ რომ არა, ამ დღეებში რამდენიმე ტელევიზია დაიხურებოდა.

● 30 წლის წინათ, ჩემი სამშობლო მდიდარი, წელგამართული ქვეყანა იყო. – საკუთარი კონსტიტუციით, ლამაზი დროშით, ჰიმნით, ღერბით, მდიდარი ენით, დამწერლობით (ამ შემთხვევაში, ქუჩებში და შენობებზე წარწერებს ვგულისხმობ), განათლებით, მეცნიერებით, კულტურით, სპორტით, წარმოებით, სოფლის მეურნეობით, საიმედოდ დაცული სოციალური გარანტიებით და მტკიცე საზღვრებით.

დღეს იგი ღობემორღვეული, ღატაკი კოლონიაა, ბარაკისნაცვალით, ჩახო(NATO)-ს ცენტრით, იბიარდით და ბორდერიზაციით.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ინტერნეტიდან

ჯეიმი ვარდის ვარდივით ცოლი

თუკი დღეს დიდ ბრიტანეთში ვინმეა გამორჩეულად პოპულარული, ეს უპირველესად ინგლისელი ფეხბურთელი ჯეიმი ვარდი გახლავთ, რომელსაც შარშან „ლესტერ სიტიში“ ჭეშმარიტად დიდებული სეზონი ჰქონდა და, ბუნებრივია, მისი ეს მშვენიერი ბურთაობა ჯეიმის პირად ცხოვრებაზეც კოხტად აისახა.

დღეს ჯეიმი ვარდის ქალები ხოშკაკალასავით ახვევია, მაგრამ ინგლისელი მეგოლის გული ერთადერთ ტურფას, ბრიტანელ მოდელს ბეტი ნიკოლსონს ეკუთვნის, რომელიც იმ მოდელთა კატეგორიას განეკუთვნება, ვისაც არასოდეს დაეზარება ნიფხავ-პერანგის შემოძარცვა და ეს ყველას დიახაც რომ ძალიან მოგვწონს!

გარდა სამოდელო კეკლუცობისა, ბეტი ნიკოლსონის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმე შოპინგობა ყოფილა და როდესაც ამ ქალს საბრენდო მაღაზიების მესვეურები ხედავენ, უკვე ყველამ იცის, რომ მათკენ დიდი ფულია დაძრული. ზოგადად ქალებს საყიდლებზე სიარული ძალიან უყვართ, მაგრამ ვარდის ცოლი ნამეტნავად დიდი შოპინგის მოყვარული ყოფილა...

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოში პირველი სექტემბრიდან აგრილდება

გარემოს ეროვნული სააგენტო საქართველოში 29 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით მოსალოდნელი ამინდის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

კერძოდ, დღეს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე შენარჩუნებული იქნება ცხელი და უმეტესად უნალექო ამინდი. ჰაერის ტემპერატურა +31, +36 გრადუსი იქნება.

31 აგვისტოს – 4 სექტემბერს საქართველოში მოსალოდნელია დროგამოშვებით ხანმოკლე წვიმა და ელჭექი.

1 სექტემბრიდან შედარებით აგრილდება. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში +23, +28, აღმოსავლეთ საქართველოში +27, +32 გრადუსი იქნება. 1 სექტემბერს ზოგან იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი.

◎ ექსპერიმენტი

სიმულაციური „ცხოვრება მარსზე“



NASA-მ „მარსზე ცხოვრების“ ექსპერიმენტი დაასრულა. ექსპერიმენტის ხანგრძლივობა ერთ წელს შეადგენდა. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ ექსპერიმენტის ადგილად ჰავაის კუნძულები შეარჩია. სიმულაციაში მონაწილეობა 6 ადამიანმა მიიღო, ისინი იმ პირობებში ცხოვრობდნენ, რაც მარსზე წასულ ასტრონავტებს დახვდებათ.

ექსპერიმენტი 2015 წლის 29 აგვისტოს დაიწყო. ფრანგი ასტრობიოლოგი, გერმანელი ფიზიკოსი და ოთხი ამერიკელი მფრინავი, არქიტექტორი, ჟურნალისტი და აგრონომი, ძალიან მცირე ფართობის მქონე ნაგებობაში ცხოვრობდნენ, ისე, რომ არც ერთ მათგანს პირადი სივრცე არ ჰქონდა.

სუფთა ჰაერსა და ახალ საჭმელს მოკლებული მკვლევარები, ძირითადად, კონსერვებით იკვებებოდნენ, გარეთ გასვლა კი მხოლოდ სპეციალური აღჭურვილობის მეშვეობით შეეძლოთ. ექსპერიმენტის მთავარი მიზანი იმის გაგება იყო, რას გრძნობს ადამიანი მსგავს პირობებში.

სიმულაცია ჰავაის უნივერსიტეტმა NASA-მ ს მხარდაჭერით ჩაატარა. ორგანიზატორების განმარტებით, ექსპერიმენტის მონაწილეები თავს კარგად გრძნობენ, თუმცა ახალმომზადებული საკვების გასინჯვა და ოკეანეში ბანაობა სურთ.

NASA-ს მიერ ჩატარებული სიმულაცია ხანგრძლივობით მეორეა. მსგავსი ექსპერიმენტი პირველად რუსეთში ჩაატარეს, რომელიც 520 დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ყაზახურმა ავიაკომპანიამ თანამემამულეები ბათუმში ჩატოვა

მესამე დღეა, ყაზახეთის 150 მოქალაქე ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან სამშობლოში გამგზავრებას ვერ ახერხებს. ამ მიმართულებით ფრენებს ყაზახური ავიაკომპანია SkyBus ახორციელებს, სადაც რეისის გადადების მიზეზად თვითმფრინავის ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებენ.

ავიაკომპანიაში ფრენის განხორციელების ზუსტ დროს ვერ ასახელებენ.

„ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ტურისტები იყვნენ კმაყოფილები. შეგვიძლია გავიგოთ მათი უკმაყოფილება, რადგან ჩვენივე ხარვეზით არის გადადებული რეისი, ვერ გაფრინდნენ სახლში დროულად. კომპანია SkyBus ცდილობს, რომ რაც შეიძლება მალე გაიყვანონ ეს ტურისტები საქართველოდან“ – განაცხადა „სქაი ბისის“ გენერალურმა დირექტორმა საქართველოში სოსო ნადარეიშვილმა.

ყაზახური მედიის ცნობით, რეისის გადადებით უკმაყოფილო მგზავრები შექმნილი სიტუაციის გამო სტრესის ქვეშ იმყოფებიან.

„სასტუმროში მოგვათავსეს, რომელიც ნამდვილი ჯურღმულია. ქვევით ღამის კლუბია და იქ ღამის გათენება შეუძლებელია. ჩვენ დავუკავშირდით ყაზახეთის საელჩოს საქართველოში, მაგრამ იქ ქართულ ენაზე პასუხობენ და არაფერი გვესმის. რაც ყველაზე ცუდია, თვითონ ავიაკომპანიაში გაფრენის დროის შესახებ კონკრეტულს არაფერს ამბობენ. გვითხრეს მხოლოდ ის, რომ რეისები ტექნიკური მიზეზით გადაიდო“, – განუცხადა ერთ-ერთმა მგზავრმა „ინფორმბიუროს“.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.285; ევრო - 2.580;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.014;
100 რუბლი - 3.526; თურქული ლირა - 0.778;
აზერბაიჯანული მანათი - 1.351;
1000 სომხური დრამი - 4.816.

ამინდი 30 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +19,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +34
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +20,	დღე +37
მთიანი რაიონები -	ღამე +15,	დღე +36
თბილისი:	ღამე +24,	დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE